


140 / 2  
1950

საგარეო  
კავშირების  
მინისტროს  
გამომცემი



მ. შ. ნიკოშვილი 1950

ვერსიონების



# პ ი ო ნ ე რ ი

№ 11 ნომბერი 1950

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის  
შრომთმთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა  
"კომუნისტი"  
წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



აფლვარებს შორთულ ქალაქს  
ლალისა და ოქროს ფერი:  
დაბადების დღეს ზეიმობს  
საყვარელი ოქტომბერი.

მუდამ ხალხის სიკეთისთვის  
უძლეველი ძალის ნქონეს,  
უყვარს წინსვლა, და ქუჩებში  
აფტოებით დაგვაქროლებს.

კრემლის თვლით იხედება,  
გმირი ვარო, იმას ეთქმის:  
ეს ცხოვრება ბედნიერი  
ოქტომბერმა შექმნა ჩვენთვის.

კომუნისმის გული უცემს,  
უხვი ყანით მინდვრებს ამკობს,  
დადის მთებში და ლოდებთან  
მეშის ენით ლაპარაკობს.

მდინარეებს ელვას სტაცებს,  
ზღვებზე მართავს გემთა საქვს,  
რკინის ფრთებით ზეცას წვდება  
და ხრიოკში წყაროს აჩენს.

ქუჩებს მკერდზე აუმართა  
შენობების გრძელი რიგი...  
ბალის ღამაზ ყვავილებშიც  
მოძრაობს და ბრწყინავს იგი.

გმირი ხალხის ბრძოლით შობილს  
სურს მშვიდობა ხალხებს ექნეს,—  
და ზეიმიც ლაღი შეენის  
ჩვენს სიხარულს, შვების შემქმნელს.

გიორგი კაჭანიძე





4735

3. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

3. ვახიშვილის ნახატიდან

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია


33 წლის წინათ, 1917 წლის 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს) ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, დიადი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, კაცობრიობის უდიდესი აღამიანების ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით, დაამხეს შემამულეთა და კაპიტალისტთა საძულველი ბატონობა და დაამყარეს რუსეთში — შოფლის ყველაზე დიდ ქვეყანაში — საბჭოების ხელისუფლება, მუშათა კლასის დიქტატურა.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ჩვენი საშობლოს და მთელი კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა—სოციალიზმის ერა. წინათ ჩაგრული კლასები—მუშები და გლეხები ისტორიაში პირველად ჩაუდგნენ სათავეში ხელისუფლებას და წამდვილად გახდნენ თავიანთი ქვეყნის ერთადერთი ბატონ-პატრონი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუცი-

ამ მიანიჭა მშრომელებს სრული თავისუფლება, მოსპო ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ექსპლოატაცია, ლიკვიდაცია უყო ყველა მჩაგვრელს, სამუდამოდ მოსპო ხალხის მასების სიღატაე და გაჩანაგება. ოქტომბრის რევოლუციამ კაპიტალისტებსა და შემამულეებს წაართვა ფაბრიკა-ქარხნები, შახტები, ბანკები, რკინიგზები, მიწა და მთელი ეს სიმდიდრე ხალხის კუთვნილებად აქცია. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სრული ნაციონალური თავისუფლება მიანიჭა რუსეთის ყველა, წინათ ჩაგრულ ხალხებს, დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბოროკლი და ჩვენი საშობლოს ყველა ხალხი თანასწორუფლებიანი გახადა.

მოკლე დროის განმავლობაში ლენინ-სტალინის ბრძნული პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ძირფესვიანად შესცვალა ჩვენი საშობლოს სახე—წამდვილელი, აგრარული ქვეყნიდან მშალარ ინდუს-



ტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გა-  
ლაქეთა იგი.  
ფარკია-ქარხნებში, შახტებსა და მალარო-  
ებში, რკინიგზებსა და საკოლმეურნეო მიწ-  
დარებს, ჩვენი დიდი საშობლოს ყველა  
ქვეყნში სრულეს საბჭოთა ადამიანების შე-  
მოქმედებით შრომა. მიუღ ხალხთან ერ-  
თად, ამხანაგ სტალინის მიერ დასახული კო-  
მუნ-ნიზმის აწმენების გეგმების შესრულებისა-  
თვის იბრძვის სახელოვანი საბჭოთა ახალ-  
გაზრდობა.

საბჭოთა ვაეები და ქალიშვილები —  
სტალინური კოპკის ბედნიერი თაობაა. მთ  
წინაშე ვადამილია გაბედული შემოქმედე-  
ბითი მიზნებისა და ცხოვრებაში მათი გატა-  
რების უფართოესი გზა. ახალგაზრდობის  
ვანკარულებაშია კულტურის დიდებული  
სასახლეები, სანატორიუმები, დასასვენებელი  
სახლები, სკოლები. ბიბლიოთეკები, კინო-თე-  
ატრები, სტადიონები. ახალგაზრდა თაობას  
მინიჭებული აქვს ყველა შესაძლებლობა იმ-  
ისა, რომ ისწავლოს, იმუშაოს და დაისვენოს.

საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობა და ბაე-  
შვები გარემოსილინი არიან ბოლშევიკური  
პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ  
სტალინის უდიდესი მზრუნველობით. ჩვენმა  
ახალგაზრდა თაობამ არ იცის კაბიტალისტურ-  
ი წყობილების საწმინლებანი. მთი წინაშე  
არ დგას შიშხილის, გაქირეებისა და უმუ-  
შეურობის აწრდილი, როგორც ამას ადგილი

აქვს კაბიტალისტური ქვეყნებში და როგორც  
ეს იყო მეფის რუსეთში.

საბჭოთა ხალხის ეს მსოფლიო ისტორიუ-  
ლი მონაპოვარი შესაძლებელი გახდა დიდა  
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის  
გამარჯვების მეოხებით.

ოქტომბრის რევოლუცია ძირითად შემო-  
ბრუნებას მოასწავებს არა მარტო ჩვენი ქვე-  
ყნის ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მიუღ  
კაცობრიობის ისტორიაშიც. დიდი ოქტომ-  
ბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯ-  
ვებამ ყველა ქვეყნის მშრომლებს ჩაუნერ-  
გა იმის ურყევი რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის  
მუშებისა და გლეხების მიერ დაწყებული  
საქმე გაიმარჯვებს მთელს დედამიწაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რე-  
ვოლუციამ უჩვენა მთიღ კაცობრიობას, ყვე-  
ლა ჩაგრულსა და ექსპლოატირებულს, რომ  
კაბიტალისტური მოზობის, ტანჯვა-წამების,  
შიშხილისა და სიღატაკისაგან ხსნის ერთად-  
ერთ გზას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის  
გზა, სოციალიზმისა და კომუნისზმის გზა.

კომუნისზმის აწმენების დიადი მიზნით აღ-  
ფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, ახალგაზ-  
რდობა მტკიცედ იცავს დიდი ოქტომბრის  
სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს.  
ღარწმუნებული თავის ძალებში და სოცია-  
ლიზმის ქვეყნის სიღიადში, ბოლშევიკური  
პარტიის ხელმძღვანელობით დიდი სტალინის  
მეთაურობით იგი მიდის წინ ახალ-ახალი გა-  
მარჯვებისაკენ.

## ს ა ო ქ ო მ ბ რ ო



ყველა თვეს ახლავს თავისი ფერი,  
ყველას თავისი ვარსკვლავი უვლის,  
მაგრამ სხვა არის თვე ნოემბერის  
ოქტომბრის შუქით განათებული.

მეკრდით ვიცავდით კავკასის მთებიანს,  
თუ აღმოდებულ ბერლინს ვიღებდით,  
გვწამდა, აროდეს დამარცხდებიან  
დიდი ოქტომბრის პირიშოა შვილები.

ბედნიერების დროში ირხევა,  
ფრთებს შლის დიადი ჰანგი პირველი.

ჩვენი საშობლოს ყველა მიღწევას  
დიდი ოქტომბრის აქვს საძირკველი.

ჩვენ ყურს ვუფდებდით მის გმირულ ძახილს,  
გზას გვინათებდა მისი ლამპარი,  
როცა სამგორში გავეკრით არხი,  
როცა რუსთავეში ბარი დავკარიო.

ყველა თვეს ახლავს თავისი ფერი,  
ყველას თავისი ვარსკვლავი უვლის,  
მაგრამ სხვა არის თვე ნოემბერის  
ოქტომბრის შუქით განათებული.

ვახაანე მოკბანელი



მშვიდობა გვინდა, ვიცავთ კიდევაც.  
ძირს ომი! გმირულ სწავლას დიდება,  
დიდება წიგნის ნათელ სტრიქონებს...

თვალს ახლაც ცრემლი დაეცილება,  
დღეა რომ წარსულ ომს მოიგონებს,  
როცა ფაშისტი მხეცის ბრძანებით  
ო, მამაჩემი მოჰკლეს წამებით...  
მაშინ ვიყავი იმ ხნის... ისეთი,  
როცა არ იცი რისიმე დარდი,—  
ნაკადულების ზღაპარს ვისმენდი  
და კორჩიოტას წისქვილებს ვდგამდი.  
შემდეგ კი მამის ხსოვნის სამკობლად  
გავიცან სკოლა... წიგნები ბეგრი...  
მე შევიყვარე დედისამშობლო  
და შევიძულე მშვიდობის მტერი.

მშვიდობა გვინდა, ვიცავთ კიდევაც.  
ძირს ომი! წიგნს და ცოდნას დიდება.  
სტალინის დროში წინ გვიძღვის ფარად...

სიმათლის ცა არ დაიბინდება,  
გარიტყაყტები იბრწყინებს მარად;  
როგორც ეარსკვლავნი მოკაშკაშენი  
უთვალავია ძალები ჩვენი!

ჩვენ ვეცილებით ალერსში ნიავს,  
დღილი რომ მწვანე ჯეჯილს დაუვლის;  
ჩვენში ყოველი დღის მოსვლას ჰქვია  
შრომის და სწავლის დღესასწაული.  
რუსთავს ვაშენებთ, ვაშენებთ სამგორს,  
ლითონი ბაღის სიმღერას ამბობს;  
ჩვენი თაობაც მსოფლიოს მშრომელთ  
სთავაზობს მტკიცე მშვიდობის ამბორს.

მშვიდობა გვინდა. ვიცავთ კიდევაც.  
ძირს ომი! წიგნს და სწავლას დიდება,  
დიდება ყოველისშემძლებელ შრომას...

მჭუხარე ზღვებად ვადმოდინდება  
ხალხების რისხვა და გულისწყრომა,  
ამერიკელი უოლსტრიტელი  
თუ განიზრახავს მზაკრული ხელით  
აღმართოს ჩვენზე სიკვდილის ცელი!

ოქტომბრის დროში ბევრისმნახველი,  
მარად მგზნებარე აზრი სტალინის  
მშვიდობას იცავს. და გაზაფხული,  
ჩვენში ბელადის მზით მოყვანილი,  
უმღერს მშვიდობას, თან ომახიან  
ხმით გადასძახის ის მთელ მსოფლიოს:  
— არ შეიძლება, დოლარმა ხალხი  
და ბოროტებამ სიკეთე სძლიოს!

მშვიდობა გვინდა, ვიცავთ კიდევაც,  
მის დიდ მედროშეს—სტალინს დიდება!

პანო ონაღი

# იმ ხევს იქით



პარანე ლორია

მთხრობა

ნახ. ვ. ფოცხაშვილისა

## I

ეკალ-ბარდით ძოქაცველ ღობეზე ფრთხილად გადაიპარა ათი-თორმეტი წლის ბიჭი, ნამიან ბალახებში ჯურღღლივით გაცოცხდა; მწიფე ნაყოფით დატვირთულ მსხლის ხეს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა. თავი წამოსწია, ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ წამოხტა, ხესთან მიიჭრა, გადმოხრილ ტოტს ხელი წაავლო, მთელი ტანით აიზიდა და ხეს ხეშით მოექცა.

ხის ქენწეროზე შემომჯდარი მოლაღური დაფრთხობ მოულოდნელი სტუმრის გამოჩენამ, ერთი უეცრად შეიკვნესა, ტოტიდან მოწყდა და ხევის მეორე მხარეს გადაფრინდა. იქ უფრო მაღალი ხე აირჩია და ცალად გაშვერილ ტოტზე შემოსკუბდა.

ბავშვმა ნაღვლიანი თვალები გააყოლა მას, ფრინველის მდგომარეობა შეეხარბა, შემდეგ ხეში გადაიხედა, სადაც პატარა წყარო მირაკრავებდა და მძიმედ ამოიხარა.

დამწუხრებული სახე ჰქონდა ბავშვს, გამხდარი, უფერული. დიდრონი თვალები ჩაღრმავებულნი. შიშველი ფეხები ეკლუსს დაეკაწრა, შარავლი, რომელიც მუხლბეამდე ძლივს წვდებოდა, მრავალ ადგილას იყო დაკეცილი. ხოლო ნარჩის პერანგი, რომლის კალთები შარავლი ჩაეტანებინა, ბეჭზე გახეივლი იყო და შიშველად დაჩრქნილი ხორცი მზის გაირუჯა.

ბავშვი სწრაფად აცოცდა ხეში, ხშირ ტოტებში მიემწყვდა. ყველაზე მწიფე ნაყოფი მოწყვიტა და მოკბინა.

— მომაკვდავს მოარჩინს, — თქვა მან თავის გულში და, როცა სწრაფად დაკრეფილი ხილი უბე გაიფარდა ჩამოსვლის აპირებდა, ჩხირის გატეხის ხმა მოესმა და გაინახა. — ვაი თუ მომსწრეს. — გაიფიქრა და ფრთხილად გადმოიხედა. ხის ქვეშ ახალ-

გაზრდა — ოცი-ოცდახუთი წლის კაცი იდგა. ბიჭს ფერი წაუფიდა, ხის ტანს მიეკრა. ფიქრობდა შეუმჩნეველი გამხდარიყო, მაგრამ უბეში ჩაყრილ მსხალს ვერ გაუძლო ძველი პერანგის უბემ, გასკდა და მოკრეფილი მსხალი ხმაურით წამოვიდა ძირს.

ხის ქვეშ გაჩერებული ახალგაზრდა კაცი შეკრთა, უკან დაიხია, მაგრამ მალე მიხვდა რამაიაც იქნებოდა საქმე, ხესთან მივიდა და აიხედა.

— პა, ეს შენა ბრძანდები, ჰინკავ? — ასძახა მან შიშისაგან ათრთოლებულ ბავშვს, — ჩამობრძანდი ძირს. — იქვე მოხრალი წნელი გამოჭრა და მალე ასწია, — ჩამობრძანდი, ნუ გერიდება. ენახო, როგორი საქალამნი ტყავი გაქვს. — და სახრე შეათამაშა.

— მაპატიე, ძია მამულ. შენ გენაცვალე, მაპატიე, თავის დღეში არ გადმოვიხედავ აქეთ. — და, ამ სიტყვებთან ერთად, ბავშვს უმანაც ცრემლები გადმოვინდა.

— ხა, ხა, ხა. — გადაიხარხარა ახალგაზრდამ. — რა კეთილი გულის ბრძანებულხარ, გაპატიო. ა, გაპატიო, შემდეგ არ გადმოხვალ? არაუშავს, კარგი სიტყვაა, მაგრამ მე უფრო კარგი საშუალება მაქვს იმისათვის, რომ აქეთ გადმოხედვა შეგაძლოს. ჩამობრძანდი და გიჩვენებ იმ საშუალებას.

— ძია მამულ, ძია მამულ, შენი ჰორიმი, ძია მამულ, — ქვითინი გადმოხვდა ხეშოდან და ერთი ტოტით ჩამოინაცვლა.

— დიდი დრო არ მაქვს, ჩამოდი, თორემ თუ ამოვიღო, სასჯელი გაგიორკვეცილება, ჩამოდი-მეთქი! — შეკვირა ახალგაზრდამ და სახრე ასწია.

— კარგი, ჩამოვალ. — ტირილით დაეშვა ბავშვი ქვევით, მაგრამ დაინახა რა მომარჯ-

გებული სახრე და ახალგაზრდა კაცის ან-  
თებული თვალები, კვლავ შერთიალდა და  
მალდა ტოტზე შეცოცდა.

ახლა უფრო სანატრელი გახდა მისთვის  
ფრიბელის ბედი. ხეცს გაღმა გაიხედა, მის-  
გან დაძვრთხალი მოლაღური ახლაც არ-  
ხეინად იჯდა იქ ტოტზე.

— ნეტავი მას. — გაიფიქრა ბიჭმა. —  
დაუბრკოლებლად გადალახა საზღვარი და  
არხეინად გრძობის თავს. თუმცა იქ ყველა  
არხეინად და ბედნიერად ცხოვრობს. ბავშვსაც  
რომ მისცა სამუალება გადაიფრინოს ეს  
მოკლე მანძილი, ხომ ბედნიერი იქნება,  
ხომ დააღწევდა თავს ამ ჯოჯოხეთს, გა-  
დარჩებოდა გაჯოხვასა და თმებით თრევისს,  
რომელსაც მას აქ გაჩერებული ახალგაზრდა  
კაცი უმზადებს.

ბავშვმა ხეცს გაღმა ფერღობზე გაშენ-  
ებულ სოფელს შეავლო თვალი. მალაღზე  
გადომდგარი ოდა სახლები წაირნაირი ხე-  
ხილების მალეში იყო ჩაფლული. ქვემოთ,  
დაეყებაზე სკოლის განიერი შენობა იდგა,  
იქვე ძახლობლად მალაღ ანძაზე ამართული  
წითელი დროშა ალისფრად ფრიალებდა.

— ხეცს აქეთ რად არ არის ასე? — გუ-  
ლის ტყვილით თქვა ბიჭმა და ხეცის იქითა  
და აქეთა მხარე ერთმანეთს შეადარა.

იქ, იმ მორაკაკე წყაროს გაღმა, ასეთი-  
ვე მთავორიან ადგილებში სულ სხვანაირი  
სიკოცხლეა, სხვანაირად შრომობენ და სწავ-  
ლობენ. სხვანაირად იზრდებიან და ვითარ-  
დებიან, აცვითა და ასურათთ, აქ კი?!



ბიჭმა ახლა ხის ძირისკენ გადმოიხედა  
და კვლავ იქ გაჩერებული ახალგაზრდა რომ  
ღაინახა, გული შეუღონდა.

— მაშ, არ აპირებ ჩამოსვლას, არა?! —  
გაბრაზებით ასძახა ახალგაზრდამ ხეზე შერ-  
ჩენილ ბავშვს, — ძალიან კარგი, მაქ გეწ-  
ვევი და ვნახოთ, რა დაგიჯდეს ჩემი სტუმ-  
რობა. — ფეხზე ჩუსტები წაიძრო და ხეზე  
ასასვლელად მოემზადა.

— ჩამოვალ, ძია მამულ, ჩამოვალ! —  
ბავშვი ტირილით დაეშვა ქვევით. მიწას  
რომ მოუახლოვდა, მოწყდა ტოტს, ახალ-  
გაზრდა მამულის წინ პირქვე დაემხო და  
ფეხებზე კოცნით პატიება თხოვა, მაგრამ  
გულქვა მამულის გული მაინც ვერ მოალობო.  
მიწაზე დამხობილ ბავშვს უმოწყალოდ  
სცემა წყვეულმა სახრით. შემდეგ დაავლო  
ფეხებში ხელი, ღობესთან მიათრია, ასწია  
ხევით და ერთი მოკნევით ღობეს გადაღმა  
ეკალ-ბარდებში გადაისროლა.

— აჲ აღარ გადმოძვრები სხვის ბოსტან-  
ში, — არხეინად თქვა მან, მიბრუნდა, ჩა-  
მოცვენილი მსხლები აჭრედა, უბეში ჩაიყა-  
რა და მალაღობზე წამოდგებულ ქვის სასახ-  
ლისკენ დიდინით წავიდა.

II

— ხემიდ, ხემიდ! — გაისმა წყრილა ხმა  
და ნახევრად სახურავჩანგრეულ სახლის  
კარებიდან თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ფეხ-  
შიშველი გოგონა გამოვიდა. — ხემიდ, ხემიდ,  
— კვლავ დიძახა მან და ეზოში მიიხეღ-  
მოიხედა. — სად წავიდა ის ბიჭი?! — ჩაი-



ლაპარაკა თავისთვის, თავსაფარი გაისწორა და პინურისაკენ წავიდა. — ხემიდა, ჰაი, ხემიდა. — გადასახა პინურისაგან და ხევისაკენ გადაიხედა.

— ეიზ, \* მე ხომ არ მეძახი? — გავხუნ-რა მას ვიღაც და ბილიკით მიმავალი ასკერი (თურქი ჯარისკაცი) გამოჩნდა.

— სიკვდილი გეძახის შენ! — ზიზილით გაიხედა ასკერისაკენ გოგონამ და სწრაფად ბრუნა პირი.

— ლამაზი გომბიო ხარ, ვიურის შვილი; — თქვა ასკერმა და გოგონასკენ წავიდა, მაგრამ გოგონა სწრაფად მოწყდა ადგილიდან, გაიქცა და ეზოში ხეს მოეფარა.

— ხი, ხი, ხი. — ჩაიხითხითა ასკერმა და აღმართს შეჰყვა.

— საზიზილები! — ჩილაპარაკა გოგონამ. — ვითომ ქვეყნის მცველები არიან და ყოველგვარ ბოროტებას სჩადან. — თვალთ მიმავალ ასკერს გააყოლა და მიაწყველი.

სახლიდან მისუსტებული ძახილი მოისმა და გოგონა იქითკენ გაიქცა.

ბნელი სახლის ერთ კუთხეში კონცებად ქვეულ ლოგინში ფერწასული ქალი იწვია. ჩონჩხად ქვეულს სულ ჩაცვენიოდა თვალები, ჩალურჯებოდა ტუჩები. ოდნავ რომ სუნთქავდა, იმით თუ იცნობდი ცოცხალი იყო. ძლივს შესამჩნევად აიწევა-დაიწევედა მისი მკერდი ამ სუნთქვის დროს.

— რა იყო, ნენავ?! — მუხლებზე დადგა მის წინ გოგონა და ჩაცვენილ თვალებში ჩააცქერდა.

— სად არის ხემიდი? — იციანთა ქალმა და ჩალურჯებული ტუჩები შეაჩხვია.

— დარღში თუ წავიდა მაველისათვის. — მიეგო გოგონამ. — წავიდე, დაუძახო?

— მომიყვანე. — მისუსტებული ხმით უთხრა მწოლარემ და თვალები დახუჭა.

გოგონა სწრაფად გამოვიდა სახლიდან, ჯერ ეზო შემოიარა, შემდეგ ფერღობზე გადადგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გადასახა, მაგრამ ხემიდი არ გამოხსნაურება, სამაგიეროდ ჩაუში \* მოიჭრა და გოგონას შეუტია.

— შენ, ეი, რაებს ბედავ, წითლებს ეძახი? მათთან ლაპარაკი გინდა? — მათრახი მოუტენია, მაგრამ გოგონა განზე გაუსხლტა და დარტყმა აიკლა.

— წითლებთან რაი საქმე მაქვს. ჩემს ძმას ვეძახი. — და გოგონამ სიყვარულით გაიხედა ხეს გაღმა, საიდანაც, ამჟამად, სკოლისაკენ მიმავალი ბავშვების ხმა ისმოდა.

— ეშმაკობ, ვაიურო! — კვლავ შეშპარა.

\* ეიზ — ქართულად გოგო  
\* ჩაუში — თურქეთის ჯარის იმპეტალი ან ოცმე-თაღი.

თა მათრახი ჩაუშმა. — შენც იმითი ხარ და მოდემის ხარ. — თვითონაც გაიხედა გაღმისაკენ და ბავშვების მხიარული სიტყვებისაკენ რომ გაიგონა, თვალები აქმდრა.

— ნუ იცქირები იმ მხარეს, მეთქი! — უხერხულა მან გოგონას. — ალბათ საიდუმლო რომ გინდა გადასცე... ისაყრული ხართ ყველანი. მიბრუნდი, გაქირ აქედან, მეთქი.

— და ჩაუში გოგონას მათრახით გამოუღდა და სანამ იქიდან არ გააგდო, არ მოეშვა. შემდეგ ამაყად გადახედ-გაღმობხედა ფერღობზე მიმავალ ქონხახებს და კმაყოფილებით გაიღიმა.

გოგონა ჩაუშის წასვლამდე სახლის გვერდით იმედუბოდა. შემდეგ გამოვიდა და კვლავ ძმის ძებნას შეუდგა. აიარ-ჩაიარა სერი, ხევშიაც გადაიხედა, იქნებ მართლაც მავალს ძებნას, ან მოცვის საყრდენად ჩაივლიდა, მაგრამ რომ ფერ იპოვნა, მოძალკო აღგიღებ ავიდა და ფრთხილად გადასახა:

— აქა ვარ, აქა. — მოისმა ამჯერად პასუხი და გოგონა იმ მიმართულებით გაეშურა, საიდანაც ხმა ისმოდა.

ეკალ-ბარდებით შებურულ ბუჩქებში ცალგვერდზე იწვია ტანსაცმელ შემოტრეწილი და სხეულ დაქარულ-დასისხლიანებული ბიჭი.

— ხემიდი? — შესახა ამის დანახვაზე გოგონამ და თავბრუ დაეცხა.

— მე ვარ, ნუ გეშინია. — ამოსახა ბიჭმა და წამოიწია, მაგრამ ადგომა ვერ შესძლო, და კვლავ ჩაიქცა.

— ხემიდი, ამას რას ვხედავ, ხემიდი, აქ რამ გავლობავდო, ბიჭო! — ძლივს გაარღვია გოგონა ეკლიანი ბუჩქები. ძმასთან მიიქრა, დაემხო და გულში ჩაიჭრა. შემდეგ ზურგზე დახედა, წითელ ზოლებად დაიწინიო ნაცემი ადგილები რომ დაინახა, წამოიკვილა:

— ეს რა მოგსვლია?!

— ნარგიზ, ნუ შეშინდები, ნარგიზ. ხიდან ჩამოვევარდი, ტოტი მომიტყდა, არაფერია გამიცილის.

— აქ ხე სად არის, ხემიდი რატომ მამხეჩებ, შენ ნაცემი ხარ! მოთხარი, ვინ დაიღო ჩვენი ოჯახის ცოდვა. — და ნარგიზსა ცრემლები წასკდა.

ხევის მოპირდაპირე მხარეს, მღოღა გორაკზე, ნარგიზს ტოლი ვეგო-ბიჭები გამოჩნდნენ, ისინი სკოლისაკენ მიდიოდნენ, მაგრამ ვაიგონეს რა გალობიდან კვილი, შეჩერდნენ და იქითკენ დაიწყეს ცქერა. ესენი საზღვრის მეორე მხარეს მცხოვრები ბავშვები იყვნენ. კობახტ ჩაკმულებს წითელი ყელსახვევები უშვებდნობდათ მკერდს.

— ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ, — ცრემლებით სავსე თვალებით გაიხედა ნარ-



გიზამ იმათენ. შემდეგ მუხლებზე დადგა და ორივე ხელი გაიშვირა. — ძამიბო, დაიბო, ზომ ხელდეთ ჩვენს ხვედრს. მოსპეთ ეს ღელე, წამალთ საზღვარი, მოდით, გეისხენით, დაგვეხმარეთ, გვიწამლოთ. — ლულულული შეთხოვდა ის მცირე ქვეყნულ თანატოლებს.

გამოდებლებმა კარგად გაიგონეს თანატოლის ვედრება, მაგრამ არ უპასუხნიათ. არც შეიძლებოდა ეპასუხნათ, საზღვარზე სიტყვიერად გადასროლა ტყვიასავით მოქმედებს, მას შეიძლება ცული რამ მოჰყვეს საზღვარს იქითა მხარეს მოქცეულ ქართველისათვის და ამიტომ ბავშვებმა სიჩუმე არჩიეს. ერთმანეთს ნათელიანად გადახედეს. შემდეგ მიბრუნდნენ და სკოლისაკენ წავიდნენ. ნარგიზამ კარგად დაინახა, თუ როგორ აფერადდა სკოლის განიერი ეზო ნაირნაირ ტანსაცმლიანი ბავშვებით.

— ალაპ! — წამოიძახა მან. — რად გააჩინე ეს ხევი ამ ადგილას, რად ვაჭყავ ეს სოფელი ასე ორად. ერთს სამოთხე არგუნე, მეორეს ჯოჯოხეთი!

შესაზღვრე ასკერს არ გამოპარვია ეს ხმაურობა, მან ფრთხილად გაარღვია ბუჩქები და დაძმას თავზე წაადგა.

— ეი, ვინა ხართ მანდა? — და ბუჩქებში ჩამჯდარ ბავშვებს თოფი მიუშვირა.

— ჩვენა ვართ, ძია! — წამოიჭრა ნარგიზა და ხელები ზევით ასწია.

ხუმიდმაც მოიხლოდა ისეთის მივბამა მაგრამ ვერ შეძლო და იქვე ჩაიკეცა.

— რას აცეთებთ აქ? — უწყვირა ბავშვებს ასკერმა და ახლოს მივიდა. — ვის აწვდით ცნობებს საზღვარს იქით?!

— ყველაფერს ვფიცავთ, ასეთი არაფერი გაგვიფიქრებია. — ხელები ააქრეს ბავშვებმა.

— ტყუით! მაშ, ვინ გამოიძახეთ შეტყულებით, ვის შესჩიოვით თქვენებურ ენაზე? — თოფი დაუშვა და ნარგიზას მიაჯახე წაეღო ხელი. — წამოდი, იქ გათქმევისებურ სიმაართლეს... წამოდი, მეტე! — მაგრად მოქანა, მაგრამ ნარგიზა არ დამორჩილდა. ის მუხლებზე დაეცა, პირქვე დაემხო და ფეხებზე დაუწყო კოცნა ასკერს.

— ადამიანი ხარ, ალლაპის მორწმუნე ხარ, ძია. — ქვითინით უთხრა მან. — შემიბრალე, ძმა დამარცხებულა, ხიდან ჩამოვარდნილა, ადგომა არ შეუძლია, ვიციელე, ვიყვირე, ვინმე დამხმარებოდა, მიშველე, ძია, ეფენდი. ალლაპი ვიზღავს სამაგურებს.

თურქი ასკერი მოალბო გოგოს სიტყვებმა. ხუმიდს დახედა, შეებრალა ნაცემი ბავშვი. უმაცყოფილოდ გადააქნია თავი. ხელი მოჰკიდა, ბუჩქებიდან გამოაყენა და ტიალზე დასვა.

— მეორეხელ არ გაბედო ასეთი კვილი, თორემ სასტიკად დაგჯი. — გადახედა მან ნარგიზას. — აქ საზღვარია გესმის თუ არა! წითლები ყველაფერს ხელავენ და ისვენენ. პოდა, აქედან ტირილსა და კივილს რომ გაიგონებენ, გაეხარდებათ, იტყვიან, ცუ-



დათ ცხოვრობენ იქითა მხარესო. ჩვენ, კი, მაღლობა ალლაპს, არაფერი გვაკლია. ზომ ხელდეთ იქითა მხარეს როგორც ცხოვრობენ თქვენი ტოლები. — ასკერმა გაღმისაკენ გაიხედა და სკოლის ეზოში მოთამაშე წითელელსახევიანი ბავშვები რომ დაინა-

ხა, ენა დაება.—ჰო, სამაგიეროდ ისინი ჯო-  
ჯოხთში ინანებენ აქურთ თავებობას, —  
სხვა ევრაფერი იპოვა სათქმელი. თვალი  
მინც ცერ მათორა საბჭოთა სკოლის ეზო-  
ში მხიარული ბავშვების თიამბს. — ნუ  
გახედავთ იქითკენ, მეთქი! — მოულოდ-  
ნელად იყვინა მახ და და-მას მიუბრუნდა.

— დასწყევლოს ალლაჰმა, წითლების  
შვილები არიან, მაგრამ მძინც არ ვინდა  
თვალი მოაშორო. — ჩაილაპარაკა ასერქდა  
თავისთვის და ცალი თვალით კვლავ საზღ-  
ვარს გადამა გადაიხედა.

### III

სოფელი საფერი ძველთაგანვე ქართვე-  
ლებით იყო დასახლებული. აქური მცხოვ-  
რებლები მეთევზეობით, მეხილეობითა და  
მესაქონლეობით ინახავენ თავს. მადლობზე  
გაძვირებულ სოფელი ძარად მიღობილივე  
ზღვის გადაპყურებს. როცა საქართველოს  
სახელმწიფო საზღვარი ტრაპიზონს სცილ-  
დებოდა, აშინ ამ სოფლიდან ტრაპიზონამ-  
დებ, გარდა საზღვაო ზვისა, სახმელეთო  
გზაც კარგი ყოფილა. დასავლეთ ქვეყნებ-  
თან ამ გზების საშუალებით ჰქონდათ კავ-  
შირი ქართველებსო, მოგვიტოვონ მატია-  
ნე. ხოლო როცა თურქები გაძლიერდნენ  
და შავი ზღვის ეს სააპირიოები ხელში იგ-  
დეს, ყველა ეს გზები ჩაუტეტს. ამ ადგი-  
ლებში დასახლებული ქართველები სა-  
შხალად შეავიწროვეს, ნაწილი გავლი-  
ტეს, ნაწილი გადასახლეს, ხოლო ვინც გა-  
დაურჩათ, ძალდატანებით სარწმუნოება შე-  
აცვლინეს — გაამამადიანეს. მიუხედა-  
ვად ამისა, მათი გათურქება მაინც ვერ შეს-  
ძლეს, ქართველობა ვერ წაართვეს და მამა-  
პაპისეულ ღირსებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

მდგომარეობა შეიცვალა, საქართველომ  
რუსეთის ჯარების დანმარებით 1878 წელს  
თურქეთის მიერ მიტაცებული მიწის ნაწილი  
დაიბრუნა, აქარა, მავშეთ-ერუშეთი, ნაწი-  
ლი ლაზეხისა გაათავისუფლა, სოფელი სა-  
ფერი მთლიანად საქართველოს საზღვრებს  
შინებით მოაქცია და აქური მცხოვრებნი  
თავის ძმებს — ქართველებს დაუბრუნა.  
მაგრამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ  
საბჭოთა საქართველოსა და თურქეთს ში-  
რის ახალი საზღვარი გაიღო და ამ საზღ-  
ვარმა ეს სოფელი უშუაშე გაჰყვითა.

ერთი სოფლის მცხოვრებნი სხვადასხვა  
სახელმწიფოში მოექცნენ და მათ შორის  
კავშირი გაწყდა.

სოფლის გაყოფისას გაღმა-გამოღმა მხა-  
რე ერთნაირი იყო ეზობებითა და სახლებით,  
მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობით.  
შემდეგ კი ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.  
საბჭოთა მხარეს მალალი ოდები წამოიქმია,

ციტრუსებით და ჩაის ბუჩქებით დაშენ-  
გორაკები, განიერი გზა გაიჭრა, დიდ-  
ლა და კლუბი აშენდა. კოლქეურებობა გა-  
ლიერდა და დოვლათი დაგროვდა. ხევი-  
ელსადღური აზღუვნდა და ოდებიც მლა-  
თურები აცინციდებენ.

იქითა — თურქეთის მხარეს მსოფლო  
მამულის ერთადერთი დიდი ქვის შენობა  
აიგო, მის ირგვლივ ნახევარი სოფელი შე-  
მოიფარგლა და მშენებლის დიდ ეზოდ იქცა.  
დანარჩენი ქონხებით დაძველდნენ, წა-  
ფერდნენ, სახურავი ჩაუღწათ, ხოლო ნაწი-  
ლი საესებით გაჰქრა...

როგორ ცხოვრობენ იქითა მხარეს?  
სოფელ საფერის აქეთა — საბჭოთა  
მხარეს მცხოვრებმა პიონერ-მოსწავლებმა  
კარგად იციან, რომ იქითა მხარის ბავშვები-  
სათვის არაა სკოლა, ჩაცმა-დახურვა, სას-  
მელ-საქმელი. დიდიან საღამომდე ტყე-  
ველად დადიან და საკვებს დაუძებენ. სიბი-  
ლეში და სიბინძურეში ცხოვრობენ. ებრა-  
ლებთან. სულითა და გულით სწადით დეც-  
მართ, პიონერული ხელი გაუწოდონ მათ,  
მაგრამ როგორ? იმ დღეს სკოლაში მიმავ-  
ლი მოსწავლეები, გაიგონეს რა გაღმიდან  
ნარგიზას კივილი და მისი გეღრება, ძალიან  
შეშფოთდნენ... ნარგიზას ისინი პირადდ  
ვერ იცნობენ, მაგრამ იციან, რომ გაღმელი  
ლაზის ვაგა, მისი ხმა ხშირად გაუგონიან,  
იციან, ხარგიზა მისი სახელი, რადგან ეს  
სახელი ხშირად დაუძახნიან მისთვის ქობის  
წინ გამოსულ ქალს. ახლოს კი არ უნახავთ  
ის, — როგორი თვალის აქვს, როგორი წამ-  
შიამები, ჩამოშვანს თუ არა გამომსულ ლა-  
ზის გარგონებს ეზიანობით, ამის შესახებ  
წარმოდგენაც არა აქვთ. ასეთი ნაცნობები  
რამდენიმე ჰყავთ გაღმა მხარეს და იმათ  
ბედზე ფიქრობენ გამოღმევი ბავშვები.

— უნდა ვუშველოთ რამე! — თქვა ერთ-  
მა პიონერმა.

— უნდა დაეხმაროთ! — თქვა მეორემ.  
— უნდა დაეხმაროთ! — განაცხადა მეს-  
ამ, და სკოლის ეზოში რომ შეგროვდნენ,  
გადაწყვიტეს, მია სტალინისა და მია ბერი-  
ასათვის წერალი გაუგზავნათ და გაღმელი  
ბავშვების მდგომარეობა ეცნობებიათ.

— მია სტალინი ამ დღეში არ დატოვებს  
მათ, უთუოდ უშველის და დაეხმარებოთ,  
— თქვა ერთმა.

— სკოლებს გაუხსნის და წიგნებს გამო-  
უგზავნისო, — დაუმატა მეორემ.

— სასწრაფო გაუწერს და ჩასაცმელ-და-  
სახურავს მისცემს.

— ჩაის ბუჩქებითა და ციტრუსებით აუ-  
მწვანებს ეზო-მიღამოვებს.

— გზას გაუყვანს და ელსადღურს აუბა-  
გუნებს.

მაგრამ ბავშვებს გადაწყვეტილება მას-  
წყალებელმა დაუშალეს.

— ძია სტალინმა კარად იცის მათი მდგო-  
მარობა, ფიქრობს და ზრუნავს მათსა და  
მათ ბედში მყოფ მრავალ მილიონებზეო, —  
თქვის მასწავლებლებმა.

ბავშვები დამშვიდდნენ და თვალბი გაუბ-  
რჩყინდათ, თან გაღმა ფერებზე მიღმულ  
ღარბ ქონმახებს გადახედეს.

#### IV

— არც ახლა მეტყვი, რა მოვივიდა? —  
ცკლე შეეკითხა ნარგიზა მასს, როცა ას-  
კერმა ისინი დატოვა.

— ავი გითხარი, ხიდან ჩამოვევარი, მეთ-  
ქი. — მიუტო ხემიღამ და თვლები მოა-  
რიდა.

— აბა რად სტყუი! — გაეჯერდა ნარგი-  
ზა. — სად არის აქ ხე, ან რა გინდოდა ამ  
დღილით ხეზე? — შემდეგ ხელი მოჰკიდა,  
მხარში შეუღდა და ნელნელა სახლისავე  
წაიყვანა.

აღმართი რომ აიარეს, ბუნებრიდან მამული  
გამოძვრა და ბავშვებს გადახედდა.

— წაათრიე, წაათრიე აქედან მავ საძაგე-  
ლი და დაარბიე, სხვის ეზოში შეპარვას გა-  
დაეჩივოს, თორემ უარეს დღეს დავმარ-  
თებ. — უთხრა მან ნარგიზას და მის მიერ  
გალახულ ხემიდს გადაავლო თვალი.

ხემიდს თავებრუ დაესხა და მუხლები მოე-  
კეთა.

ნარგიზამ ხელი გაუშვა მმას. თვლებში  
სისხლი მოაწვა და მთელი სხეულით აყან-  
კალდა.

— მამულ, ეს შენ ჩადგი ფეხი ჩვენი  
ოჯახის ცოდვაში. შენ მოეპყარი ჩემს მმას  
ასე? — მმას შემოფლეთილი პერანგი აღ-  
წია და ჯობით აკრულებული ზურგი გამო-  
უჩინა. — შენი ნახელავია ეს? — და მა-  
მულს ანთებელი თვალებით მიაჩერდა.

— ნუ დაძვრება სხვის ბოსტანში, თორემ  
უარესიც დემაბრთება, — თავისთვის, მაგ-  
რამ გასაგონად ჩაილაპარაკა მამულმა.

— სად ჩავიდა? რა მოგტაცა, რომ ასე  
უმოწყალოდ მოქცევიხარ საცოდავ ბავშვს?  
— და ნარგიზამ პასუხის მოლოდინში მმას  
თაზე გადაუსვა ხელი.

— თვითონ იცის, რაც დაამაჯა, სელიმ-  
ალას ქონება თავისად გაიხადა კიდევ კარ-  
გი, რომ მივესწარი, თორემ მთელ ხეს გაც-  
ხედვას. — მამულმა ემაყოფილებით გაი-  
ლომა და ისე გადმოხედა ნარგიზას, თითქოს  
დიდი სასიხარულო ამბავი უთხრო.

— შეგანმეს ხელები, სისხლად წაგსდეს  
ჩვენი ოჯახის ამბავი! ფუ, შენს კაცობასა-  
და ნარგიზამ ზიზლით შეხედა მოახლოებულ  
მამულს, შემდეგ კი მმას მიუბრუნდა: —  
წუწყო, რამ ჩავიყვანა ურჯულოების ეზო-  
ში! მაგ მიწაზე მოსხმული ხილი შამანადე-  
ლითა სავსე.

— ის ხომ ჩვენი მიწა იყო! ის ხე ხომ  
მამაჩემის დარგულ-დამყნობილი ყოფილა!  
— დაიწყო თავის მართლება ხემიდმა, მაგ-  
რამ ნარგიზა გაუჯერდა:

— ჩუმად! ჩვენი იყო, მაგრამ წაგვართ-  
ვის. დღეს სელიმ-ალას მისი პატრონი, კა-  
ნონმა მას მიაკეთუნა... შენ კი... — მამულს  
შეხედა, — სელიმ-ალას მონა ხარ, მაგრამ  
მასზე უფრო ძალი ყოფილხარ! ჩვენებრ  
საწყალი კაცის შვილი მანც არ იყო...  
გრცხვენილდა... — პირი იბრუნა, ხემიდს  
მხარში შეუღდა და სახლისავე წაიყვანა.

მამულს ხმა არ ამოუღია. ნარგიზას სიტყ-  
ვებმა თითქოს იმოქმედეს მასზე. ერთხანს  
თვალი გააყოლა ძლიერსლივობით მიმავალ  
ხემიდს და, ცოტა არ იყოს, შეღიჭიანდა:  
მაგ ბიჭს რომ რამე შეეიმთხვის, მაგისი ნა-  
თესავები კარგ დღეს არ დამაყრიათო, მაგ-  
რამ უცებ „ყოვლის შემძლე“ სელიმ-ალას  
სახლისავე გაიხედა და იმედით მიეცა. —  
თუ კაცს სასახლე წყალობს, ქონის ვერას  
დააკლებსო, — თქვა თავის გულში და



V

ნარგისა და ხემილი შინ რომ მივიდნენ, დედა უფრო ცუდად დაუხვდათ. ლაპარაკის მალაც არ შესწევდა უბედურს. შვილების მისვლა მაინც იგრძნო, ძლივს გაახილა თვალები და მათ გადმოხედა: — სადა ხართ შეილებო, — ამოილაპარაკა და გალურჯებული ტუჩები ოდნავ შეარბია.

— აქა ვართ! — დაასწრო ნარგისას ხემილმა და მშობლისათვის თავისი დასისხლიანებული სხეული რომ დაეფარა, მუხლებზე დადგა.

ნარგისას უნდოდა ეთქვა დედისათვის, რა მდგომარეობაში იყო ხემილი, როგორ გაეულახა ის სელიმ-ალას მოჯამადირე მამულას, მაგრამ რომ შეატყუო, დედა ცუდად იყო და ასეთი ამბავი მასზე უფრო ცუდად იმოქმედებდა, დადუმდა.

აეადმყოფმა ძლივს ასწია ხელი და საწოლზე თავამოდებულ შვილს დაადო.

— ხემილ, ჩემო პატარა ოჯახს, ნარგისას ბედზეც შენ უნდა იფიქრო. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა მწოლარემ. — მამის მისვლა თუ გეღრისოთ, უამბეთ ყველაფერი, რაც გადაგხდათ. ნარგისა, მძის კარგად მიხედ. თქვენს დარდი იქაც არ მომასვენებს შეილებო! — და ავადმყოფის ამომშრალ თვალებში ცრემლი გაიწინა.

— წენაე! — ჩაეკონა დედას ნარგისა და ქეთონი აუფარა. მას მძის მიზახა. და ძეველი საბანი ცრემლებით დასველდა.

— ტირილი შემდეგაც ვეყოფათ, ჩემო უბედურო შეილებო. — ძლივს ამოილაპარაკა ქალმა. — ახლა ნუ სტიროთ, ნუ გამყოლებთ ცრემლიან თვალებსა და მწეუხარე სახეს. ეჰ! — უნდოდა თავი წამოეწია, რომ უკანასკნელად მოხვეოდა და ჩაეკონა შეილები. მაგრამ ვერ შეისძლო, წამოწეული თავი ვერ შეიმაგრა და მძიმედ დაეშვა ბალიშზე.

ხემიდმა პირდაპირ დახედა დედას. ახლა სულ სხეინარი ეჩვირა იგი: უფრო ცაცირაცილი. გალურჯებული, მრისხანი, ცივი, მოკარები. შეეშინდა. დისკენ მიიხიდა, ნარგისამ დედას შეობლზე დაადო ხელი და შეკრთა: დედის სხეული უკვე ცივი იყო. ხემილი მიხვდა, რაც მოხდებოდა და ორბილი მორთა.

ნარგისას კვილიმა დაუარა ქოხებს და მუზობლის ქალები ააწროლა. იგივე ხმა დაასწროდა ზეის დასკოლის იზოში გამოსული მოსწავლეების გული აათორიაჟა. ბავშვებმა გაიხილეს გაღმა და ქოხის წინ შეგროვილი

დედაცაცები რომ დაინახეს, მიხვდნენ, კატარა ნარგისას ოჯახში კარგი ამბავი იყო.

კვილისა და ტირილის ხმა არც თურქ მესაზღვრეებს გამოპარიათ, ისინი სწრაფად გაჩნდნენ ხმაურობის ადგილას და რაღვან ხმაურობის მიზეზი მალე გამოარკვეეს, დიდხანს არ დარჩენილან, იქ მყოფნი გააფრთხილეს: — ნუ ტირიებთ, ნუ იხმარებთ, ვალმელებს აქ მომხდარ ამბავს ნუ გააგებინებთო, — და წაივდნენ.

— ასეთი რამ გავგონილა?! — აჩურჩულდნენ ქალები, — სიკვდილი დაგვეცა თავს, ერთი ადამიანის შვილი წაგვართვა და აღარც ვიტყობთ?!  
დედის სიკვდილმა ხემილს დაავიწყა ტყვილები. აღარ ახსოვდა დასისხლიანებული სხეული, დააწრული ფეხები. ტიროდა, ტიროდა შეუჩერებლივ და დედის უსულო გვამს დასჩერებოდა, თითქოს სურდა სამუდამოდ ჩაებეჭდა სხონაში ამ ტანჯული ადამიანის წამებული სახე.

დედა რომ დაასაფლავეს, იმ დამეს ხემილს საშინელი სიცხე მისცა და ბოდვა დააწყებინა. მუზობლის ქალებმა ნარგისას ურჩიეს, მოლასთან გაეგზავნა კაცო და შელოცვა დაეწერიანნენ. ნარგისა დათანხმდა, მუზობლის ბიჭი გაუგზავნა მოლას და შელოცვის დაწერა თხოვა, მაგრამ მოლამ უარი შემოუთვალა: — უსასყიდლოდ დაწერილ ლოცვას ალლაჰი არ მიიღებსო.

ნარგისამ ოჯახში მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა. გასამარჯლოდ რომ გამომდგარიყო, და ერთი-ორად დაეთეთვა გული.

მუზობლები წავიდა-წამოვიდნენ, ნარგისასთან მხოლოდ მისი ამბანავი მერი დარჩა. ის იყო ნარგისას ერთადერთი იმელი ამ გუჰირების დროს, მან მოუტანა ნახევარი ყვი მჭადი, ორი ცალი კეჯრახი და რაი მთაბარია, ერთი ჭიქა დელფინის ქონი. ეს ქონი ნათვის მაგაფრობას ასრულებს სოფელში და საამარისად მხოლოდ „ბედნიერ“ ოჯახებს თუ მოეპოვებათ.

გოაგონებმა ქონი თონოქის ჭურჭელში ჩაასხეს. შოგ ჰინჰის ნაჭერი ჩააგდეს. ანათეს. ერთ კოხებში დადარს და თეთონ ათომყოფ ხემიდთან დასხდნენ.

ხემილი ერთხანს მითვლომილი იყო, მაგრამ შეუცრაოდ, თითქოს რალაცამ მოუტარაო, წამოვარდა და ტახტიდან გათმოაარღებოდა. დროზე რომ არ მიშველებოდნენ...

— გამიშვით, გამიშვით! — იძახდა ის. — სელიმ-აოა უნდა მოველა... რაო? მამულადი ხარ? რაი გინდა. მია, მამოლ?.. დედას უნდა მიუტყანო, ერთი კვირაა არავფერ

უკმაში, იქნებ შესუქამოს... მადლობელი ვარ...  
რა კეთილი ხარ, ნარგისასაც ვაქმივე ცო-  
ტას. მასაც ძალიან უყვარს მსხალი. სანამ ეს  
მამული ჩვენ გვეკუთვნოდა, მე და ნარგისა  
ერთად ავდიოდით ამ ხეზე, ერთად ვკრუფ-  
დით... აი, აი, რას შერებდი ძია მამულ. არა,  
არა, თავის დღეში არა... უჰ... აღარ შემიძ-  
ლია მეტი. — ხემიდი მოწყვეტით დაეშვა  
საწოლში, წუთით მხოლოდ მისი გაძლიერ-  
ებული სუნთქვა ისმოდა, შემდეგ კი შეი-  
რჩა, თვალები მერს მიანერა და გაიღმა.—  
ოჰ. რა ბედნიერი ვარ. — ამოილაპარაკა  
მან. — ეს თქვენ ხართ ბიჭებო, როგორ  
გაღმოდით დღეზე? ჩემს სანახაოდ მო-  
დით? უნდა წამიყვანოთ? ახლავე წამივალ,  
ნარგისასაც წამოვიყვან. ჩვენ ბიჭებსაც, ყვე-  
ლას უნდა თქვენთან წამოსვლა და ცხოვრი-  
ბა, მაგრამ... მასეთი წითელი ყელსახვევები  
რომ არ გაიჭეს... ნარგისა, ნარგისა. აბა  
ჩქარა, მოიშალე, წაივლით. — ვლავ წა-  
მოიჭრა ხემიდი და გაქცევა დააპირა.

დიდხანს შოთათადა ასე, გოგონები თავს  
დარტყალებდნენ, ზედზედ ადებდნენ შობ-  
ლზე სეღო ტილოს და აყრიდნენ ტანზე  
ახალაყრეფილ ნამიან ფითლებს, რომე-  
ლიც ოდნავ შეღავათს აძლევდა სიცხიანს.

შუალამიმდე იმფოთა ავადმყოფმა, იყვი-  
რა, ილაპარაკა არეულ-დარეული სიტყვები  
და შემდეგ მიიძინა. გოგონებმა ოდნავ მოი-  
სიონის, ლოგინიდან ცოტათი მოშორებით  
ჩამოსხდნენ და დაბალი ხმით აღაპარაკლ-  
დნენ, მაგრამ მალე თუნუქში ქონი ამოილია  
და სინათლე ჩაქრა.

— ქარები გავალით, — ურჩია ამხანაგმა  
ნარგისას. — მთვარე იქნება, ან ცის ცი-  
ვი შემოიანათებს.

გოგონებმა ქარები გააღეს. მთვარე არ  
იყო. ცასაც შავი ღრუბელი გაჰკროდა, მაგ-  
რამ ხევის გაომიდან სახლების აივნებზე,  
თუ ბაღებში ხის ტოტებზე დაკიდული ელ-  
ნათურების შუქი საკმაო სინათლეს აუჩქ-  
ვევდა, და თურქეთის მხარეს ჩაბნელებუ-  
ლი სახლების სარკმელში შეჭრილი, ქო-  
ხების ბნელ კუთხესაც ეფინებოდა.

გოგონებმა კეთილგონებით გაიხედეს  
იქითვე.

— საღ შოულბოენ ამდენ ქონს, დღე-  
ღამე ყველაფერი განათებული რომ აქვთ?  
— იკითხა მერიმ, ცალი თვალი მოხუჩა და  
ისე გახედა აციმციმებულ ელნათურებს.

— ბიჩი! ის ხომ ჭონისაგან არ ანათებს.  
— გაუმტყუნა ნარგისამ, — ხომ გესმის გუ-  
გუნის ხმა? იქ არის თურმე მასეთი სინათ-  
ლის წყარო. თურმე ერთ მანქანას დააბრუ-  
ნებ და ამდენი ვარსკვლავები ამოცვივდება.

— აბა, იმათ თქვან ბედნიერები ვართო.  
— თქვა მერიმ. — სწავლობენ, შრომობენ,  
აცევით და ახურავეთ!

— იქ თურმე ერთი ყველასათვის მუ-  
შაობს, ყველა ერთისათვის.

— იმიტომაც აქვთ ყველაფერი.

— ოჰ! — ორთავემ ერთად ამოიხარეს,  
ერთმანეთს თავი თავზე მიადრეს და გათე-  
ნებამდე დარჩენილი რამდენიმე წუთი ასე  
ეძინათ.

(დასასრული იქნება)



უკმაია, იქნებ შესჯამოს... მაღლობელი ვარ...  
რა კეთილი ხარ, ნარგიზასაც ვაჟმეფე ცო-  
ტას. მასაც ძალიან უყვარს მსხალი. სანამ ეს  
მამული ჩვენ გვეკუთვნოდა, მე და ნარგიზა  
ერთად ავიღოვით ამ ხეზე, ერთად ვკრუ-  
დით... აი, აი, რას შერები ძია მამულ. არა,  
არა, თავის დღეში არა... უჰ... აიარ შემიძ-  
ლია მტრით. — ხემილი მოწყვეტით დაეშვა  
საწოლში, წუთით მხოლოდ მისი გაძლიერ-  
ებული სუნთქვა ისმოდა, შემდეგ კი შეი-  
რა, თვალები ქერს მიაჩერა და გაიღმა.—  
ოჰ. რა ბედნიერი ვარ. — ამოილაპარაკა  
მან. — ეს თქვენ ხართ ბიჭებო, როგორ  
გადმოდიხ ღიღიზე? ჩემს სანახაილ მო-  
ლით? უნდა წამოყვანოთ? ახლავე წამოვლ.  
ნარგიზასაც წამოვიყვან. ჩვენ ბიჭებსაც, ყვე-  
ლას უნდა თქვენთან წამოსვლა და ცხოვრი-  
ბა, მაგრამ... მასეთი წითელი ყელსახვევები  
რომ არ გააქვს... ნარგიზა, ნარგიზა. აბა  
ჩქარა, მოიშალე, წაიღეთ. — კვლავ წა-  
მოიპრა ხემილი და გაქცევა დააპირა.

დიდხანს შთოთაიდა ასე, გოგონები თავს  
დარჩალივებდნენ, ზედიზედ ადებდნენ შობ-  
ლზე სველ ტილოს და აყრიდნენ ტანზე  
ახალდაკრეფილ ნამიან ფოთლებს, რომე-  
ლიც ოდნავ შეღავათს აძლევდა სიცხიანს.  
შუალამემდე იმფოთა ავადმყოფმა, იყვი-  
რა, ილაპარაკა არეულ-დარჩული სიტყვები  
და შემდეგ მიიძინა. გოგონებმა ოდნავ მოი-  
სიინეს, ლოგინიდან ცოტათი მოშორებით  
ჩამოსხდნენ და დაბალი ხმით აღაპარაკდ-  
ნენ, მაგრამ მალე თუნუქში ქონი ამოილია  
და სინათლე ჩაჭრა.

— კარები გავლით, — ურჩია ამხანაგმა  
ნარგიზას. — მთვარე იქნება, ან ცის ცია-  
ვი შემოანათებს.

გოგონებმა კარები გააღეს. მთვარე არ  
იყო. ცასაც შავი ღრუბელი გაჰკროდა, მაგ-  
რამ ხევის გაომიდან სახლების აივნებზე,  
თუ ბაღებში ხის ტოტებზე დაკიდული ელ-  
ნათურების შუკი საცამო სინათლეს აუტყ-  
ვევდა, და თურქეთის მხარეს ჩაბნელებუ-  
ლი სახლების სარკმელში შეჭრილი, ქო-  
ხების ბნელ კუთხესაც ეფინებოდა.

გოგონებმა კმაყოფილებით გაიხედეს  
იქითენ.

— საღ შოულობენ ამდენ ქონს, დღე-  
ღამე ყველაფერი განათებული რომ აქეთ? —  
იკითხა მერიმ. ცალი თვალი მოხუჭა და  
ისე გახედა აციმციმებულ ელნათურებს.

— ბერი! ის ხომ ჭონისაგან არ ანათებს.  
— გაუმტყუნა ნარგიზამ. — ხომ გესმის გუ-  
გუნის ხმა? იქ არის თურმე მასეთი სინათ-  
ლის წყარო. თურმე ერთ მანქანას დააბრუ-  
ნებ და ამდენი ვარსკვლავები ამოცვივდება.


— აბა, იმათ თქვენ ბედნიერები ვართო.  
— თქვა მერიმ. — სწავლობენ, შრომობენ,  
აცვიათ და ახურავენ!

— იქ თურმე ერთი ყველასათვის მუ-  
შაობს, ყველა ერთისათვის.

— იმიტომაც აქეთ ყველაფერი.

— ეჰ! — ორთავემ ერთად ამოიხრეს,  
ერთმანეთს თავი თავზე მიადიგეს და გათე-  
ნებამდე დარჩენილი რამდენიმე წუთი ასე  
ეძინათ.

(დასასრული იქნება)



# ჯიუტი ჩიტები



კაშკაშა მზემ მცხუნვარებით  
 შეწუხა სოფლის ძინდორ-ველები,  
 გრილოებში გაინაზნენ  
 მოქიკვიკე, ფრთამალი ფრინველები.  
 ჩვენს საწვიმარს ფაცი-ფუციით  
 ორი ჩიტო, მალი, ოქროს გულმკერდა,  
 ბუღისათვის ვატყაყებთ  
 ბალახების გაშხმარ ღერებს უფენდა.  
 ჯიუტ ჩიტებს არ ესმოდათ  
 გამოცდილი მშობლების დარიგება:  
 რომ ჩიტების საცხოვრებლად  
 საწვიმარში ბუდე არ აიგება.  
 მომავალი წვიმის შიშით  
 სიცილს გვირდა გამოუცდელ ჩიტუნებს,  
 მშობლებს კუშტად პასუხობდნენ:  
 — მკვიდრად ნაშენ ბინას რატომ გვიწუნებთ?!



ერთ დღეს ზეცას მოერიო  
 ღრუბლის ფარდით ტკბილი ძილისპირული,  
 გაიღვა, დაიგრგვინვა,  
 წამოვიდა წვიმა კოკისპირული.  
 ცა გრგვინავდა გამძაფრებით,  
 დიდხანს, დიდხანს წვიმა არ გადილო,  
 ვიდრე ბუდე ჩიტებისა  
 ატეხილმა ღვართქაფმა არ წაიღო.  
 მეორე დღეს, როცა ციდან  
 გადმოფერქვა ბზის სხივების ჩანჩქერი,  
 ჩიტუნები წიაფრინდნენ  
 დედის კალთას შიშით გულანაძგერი.  
 — ჩვენ მოვკრინდით შენს კალთაზე,  
 ე უმც უკვე ვართ ბუნებისგან დასჯილი,  
 მაგრამ მიინც გვინდა ვიყოთ  
 დედისგან ღირსეულად განსჯილი.  
 გაცინება, ჯიუტ ჩიტებს  
 რომ უყურებ შიშით სასოწარკვეთილს?!  
 დღეს შემდეგ, უფრო კარგად  
 დავისწავლით შენს მოცემულ გაკვეთილს.  
 ჩვენს მეგობრებს ყველას ვერტყვით,  
 საწვიმარში ბუდე არ აიგება,  
 ყველას ცუდად დაუჯდება,  
 ვინც არ ისმენს მშობლების დარიგებას.

ბელა ქახიძე



# ოცნება

ა. მუსაშვილი

ნაწყვეტი მოთხრობა „სტოქჰოლმიდან“

ნახ. ვ. ტორიკაძისა

ცოტა ხანს კიდევ იდგა მასწავლებელი არყის ხესთან, მერე ბავშვებთან ერთად სტოქჰოლმისკენ გაემართა.

ბორცვზე ავიდნენ და უნებლიეთ შეჩერდნენ. გამჭვირვალე ჰაერში და მზის კაშკაშა სინათლეზე მდგლოები, ყანები ისეთი მოხატულ-მოყავნულები გამოიყურებოდნენ, თითქო ისინი დიდი დღესასწაულისათვის მოერთათ.

მდინარესთან გაფარჩხული ბებერი ტერიფები ქარისაგან ხმაურობდნენ და მათი ფოთლების ვერცხლისებარ ბრწყინვით ადამიანს თვალები უჭერდებოდა. ცის სივრცეში დასცურავდნენ თვალისმომჭრელი სქელი ღრუბლები, რომლებიც ხან ვაშლის ხის დაყვავილებულ შტოებს ჰგავდნენ, ხან კიდევ თეთრგულა გეგებს.

მოთიბული მგლო მდინარის გაღმა ისეთი სქელი და ყუთიანი ბალახით დაფარულიყო, რომ როგორც არ ეცადნენ ძროხები თავისი ხბოებით მის გადაჭმას, მგლო მაინც არ ჰკარგავდა თავის ზურმუხტოვან ბრწყინვალეობას.

მინდვრებიდან მოდიოდა თაფლის, გამომცხვარი პურისა და კიდევ რაღაც სიტყვებით რომ ვერ გამოთქვამ. ისეთი ტყილი-სა და სასიამოვნოს სურნელბა. ფეხებზე მოჭრილად ხტებოდნენ კლტკალები, თითქოს რეზინისა ყოფილაყვნენ, და ყმაწვილებს სახეში ეტაკებოდნენ. ირგვლივ გახუწყვებულზე ყველაფერი ჭრივიანება და წკრიალებდა.

— უჰ, რა კარგია. არა? — უნებლიეთ აღმოხდა მამას.

— რა არის კარგი? — ვერ მიხვდა ზინა კოლალოვს.

— ეს მინდორი, და საერთოდ ყველაფერი... ჩვენი მგლო, ჩვენი ტყე, ჩვენი მდინარე, და ღრუბლებიც ცაში. სულ ასე ვიფიქრიდი და ეივლიდი... მე ასე მგონია: არსად

მთელ ქვეყნიერებაზე ასე კარგი არ არის, როგორც ჩვენს სტოქჰოლმი.

— ღრუბლები, მინდორი... რა არსახელი რამა ვითომ — ჩაფხუტუნა სიომუშკინმა. — არც კი იცი ქვეყანაზე რა არაჩვეულებრივი გეოგრაფიული ადგილებია. აი, სუბტროპიკებში უნდა იცხოვროს კაცმა! ჩვენი სტოქჰოლმი კი არსად ნახსენებიც არ არის.

— რითაა ცუდი სტოქჰოლმი? — წარმოთქვა ანდრეი ივანიჩმა. — აი მე, ფრონტზე ყოფნისას, სადმე ხანმოკლე შესვენების დროს, დავხუტედი ზოლზე თვალებს და სტოქჰოლმი ცოცხლად წარმომიდგებოდა თვალწინ. აგერ მდინარე მოშუსის. მინდორზე თეთრი ბილიკი მიივლიანება, და ირგვლივ პურის სურნელებია. ხან კიდევ ასე ყოფილა, რომ ღამით ზევით ცაში აიხედავ, როცა იქ ასე ეერთი ნამცეცი ღრუბელი არაა და ყველა ვარსკვლავი კი, დიდი და პატარა, თავმოყრილია, და აღტაცებით შესცქერი მათ. ისეთი თვალწარმტაცი სილამაზეა, ისეთი თვალწმედველი სივრცეა ზევით, რომ სიტყვა არ გაუფიქრებს ადამიანს ენით გამოსაბო ყოველივე ეს. მაგრამ თუ კარგად ჩააყვირდები ვარსკვლავებით მოქედულ ცას, თანდათან მიხვდები, თუ საიდანაა მთელი ეს სილამაზე; აი დიდი დათვი, აი მცირე დათვი, იქ კიდევ კუროს, ჰერკულესის, დრაკონის, თხის რქის თანავარსკვლავედები. და თითოეულ მათგანს თავისი განკუთვნილი ადგილი უჭირბუს, თითოეული მათგანი აინთება და წესებულ დრო-ჟამს. ამ უზარმაზარ ვარსკვლავთა სამყაროში მოკრძალებულ, პატარა თანავარსკვლავედს სტოქჰოლმი მოძებნი. „აჰა, გაიფიქრებ, უშენოდაც არ შეიძლება თურმე!“ ...ხომ არ დაგვიწყებიათ, ჩემო მეგობრებო, სად იმყოფება ეს თანავარსკვლავები?

— ვეახსოვს, ანდრეი ივანიჩ. ჩვენ ზმირად ვუყურებთ მას,—თქვა მამამ.



— აი ასეა ჩვენი მიწიერი სტოქარებიც,  
— განაგრძობ მასწავლებელმა. — გაფან-  
ტულან სინი მშობლიური მიწის თვალწვე-  
დნელ მკერცში და უნათებენ ადამიანთ  
სხვა დიდ და მცირე ვარსკვლავებთან ერ-  
თად.

— ანდრეი ივანჩი! — მაშა ბალახის ღე-  
როს ღვევით ახებდა ცაში, თუმცა იქ ჯერ  
არც ერთი ვარსკვლავი არ იყო. — იცი, თუ  
არა მსურს? მე მსურს, რომ ჩვენი სტოქარი  
ყველაზე უფრო ძლიერ კამკამებდეს... აი  
როგორც დიდი დაივი ან პოლარული ვარს-  
კვლავი. მე მსურს, რომ ჩვენ ყველამ დავეს-  
ნახოს შორიდან. ყველამ, ვინც ზღვაში ცუ-  
რავს, ვინც იმში იბრძვის, მოსკოვში ცხოვ-  
რობს. შეხედავენ ადამიანები ვარსკვლავე-  
რთს მოჭვდილ ცას და იტყვიან: „ეს რა  
არის იქ, ასე რომ კამკამებს და არ ჰქრება?“  
ეს რა ახალი ვარსკვლავი გამოჩენილა? ას-  
ტრონომები — ვარსკვლავთმრიცხველები კი  
ამაზე უპასუხებენ: „ეს ახალი ვარსკვლავ-  
ი არ გახლავთ, ეს ძველთაძველი თახ-  
ვარსკვლავებია — სტოქარი. ოღონდ ჩვენც  
ვერ გაგვიგია, თუ რატომია, რომ ახლა ის  
ასე ძლიერად კამკამებს.“

— მთელი ამის მიზეზი კი, თურმე, ისაა,  
— გაეღიმა მასწავლებელს, — რომ სტო-  
ქარში ასეთი შესახიზნავი ყმაწვილები  
ცხოვრობენ...

— თქვენ რა გგონიათ, ანდრეი ივანჩი, —  
გაწითლდა მაშა, — აი, ოღონდ ცოტა წა-  
მოვიზარდეთ, ნახათ მაშინ, რას არ გვაგე-  
თებთ კოლმეურნეობისათვის! მე სწავლის  
გასაგრძელებლად წავალ აგრონომიული, ან  
სელექციური დარგის შესასწავლად. მერე  
ისევ სტოქარში დავბრუნდები. სამთავა  
ზორბალს მოვიყვან, ისეთს, რომელიც ერთ-  
ხელ დაითესება, მოსავალს კი სამი ხუთ-  
წლედს მანძილზე მოგვცემს, ისეთს, რო-  
მელსაც არაფრის შიში არ ექნება: არც  
სიციხის, არც სეტყვის. ასედაც დავარქმევ  
„სტოქარული უკვდავი“. მის შესახებ მერე

ყველა მეცნიერულ წიგნში დასწერენ, ან  
ეს კი არა... უკეთესია, ბაღში ვიშუშავებ.  
ვანს დაერგავ ფარდულებს უკან. ვაშლებს  
თოვყივს, და ისეთ მხვილს, ერთის შემტ  
რომ ვერ შევაპოს ადამიანმა...

— ამას არ უყურებთ, როგორი ხარბია,  
ყველაფერი თვითონ უნდა რომ იყოს! —  
გაიღიმა სანკამ და ამხანაგებს გაღაბდა. —  
ჩვენ რაღა დავგვრებთ?

— თქვენ? — ჩაფიქრდა მაშა. — სამუ-  
შაო ყველას ეყოფა. შენ, სანკა, ვთქვათ,  
ამინდის მართვას მოჰკიდებ ხელს. ზიხარ  
კაბინეტში, ზედ ღრუბლებთან ახლოს და  
ღებულობ შეგვეთებს რადიოთი. „აალოო,  
აალოო, ამინდის მორიგე გისმენთ. ვინ ლა-  
პარაკობს?“ — „პუშკინის სახელობის კო-  
ლმეურნეობა“. — „რა შეკვეთა გაქვით?“ —  
„უვიმა გვინდა ორმოცდახუთი წუთით“. —  
„როგორ? ამა, რაც შეიძლება ბარაქიანი,  
სოკოს წვიმა, არა? არის“ შეკვეთა მიღებუ-  
ლია. გთხოვთ მოემზადდით“. და აი, იხებეთ,  
ჩართავ წვიმას — ორმოცდახუთწუთიანს.

— ამინდის მართვა! აი ეს შესძის! —  
გამხიარულდა სიომუნიკი. — ჩემთვის რა-  
ღა სამუშაო იქნება?

და, ალბათ გულყეთილი მაშა ყველას გა-  
მოუნახავდა შესაფერის სამუშაოს, ზინა კო-  
ლეცოვა რომ არ ჩარეულიყო საუბარში,  
რომელმაც თქვა, რომ ყველაფერი ეს თან-  
ტასტიკურია, როგორც ძვილ ვერსს აქვსო.


— შენთვის ყველაფერი ფანტასტიკურია,  
რაც კვლავზე არ იზრდება! — იწყინა მა-  
შამ. — აი, დაიცა, გაათავდეს აგერ ომი...  
მთელი ჩვენი მიწა-წყალი მშვენიერი და სა-  
სარგებლო გახდება... ასე არაა, ანდრეი ივა-  
ნჩი?

— ფიქრობ, რომ ასედაც იქნება, —  
უპასუხა მასწავლებელმა. — როდესაც ადა-  
მიანი დიდი ოცნებითაა გატაცებული, მას  
შეუძლია ყველაფერს მიადლოს. მით უმე-  
ტეს ისეთ მიწაზე, როგორც ჩვენია.

თარგმანა შ. გვირჩიძე



# მომხმ სომხეთის რესპუბლიკა



თბილისიდან მის სამხრეთისაკენ, მატარებლით თექვსმეტობედ საათის სავალზე მდებარეობს საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი შესანიშნავი ქალაქი ერევანი, რომლის ცენტრალური მოედნის ხედიც ამ წერილის თავსართშია გამოსახული.

ერევანი მომხმ სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქია. შესანიშნავი, ლამაზი, დიდი ქალაქი ერევანის—ვაშობით ჩვენი. მაგრამ იმათთვის ვისც ახლა პიონერულ წითელ ჯელსახვევს ატარებს და ნახავს მას, — ძველი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორი იყო იგი წინათ. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაშივე ეს იყო ნაშევრად პროვინციული ქალაქი — მტვრიანი, ჭუჭყიანი, ოღო-ჩოღო-რო ქუჩებით, დამალა, ბნელი სახლებით.

გრანდიოზული შენობები, ილინის რძისფერი ლამპიონებით განმუქებული განიერი პროსპექტები და ქუჩები, პარკები და მოედნები, — ყოველივე, რათაც დღევანდელი ერევანი ლამაზი და მიმზიდველია, — არის საბჭოთა ხელისუფლების მოსამზადრ.

და არა მარტო დედაქალაქი ერევანი, არამედ მთელი რესპუბლიკა ადრბანდა, გამყვანიერდა, ეკონომიურად ძლიერი და ქულტურული ვახდა განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე.

ოცდაათი წლის წინათ, 1920 წლის 29 ნოემბერს, სომეხმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამთა საბუღელო დაწესებულებები მთავრობა — ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა ეს ყურბოკრილი მსახური, და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ამ დროიდან დაიწყო სომეხი ხალხის თავისუფალი შემოქმედებითი შრომა თავისი ქვეყნის აღორძინებისათვის.

აღსრულდა სომეხი გლეხობის სანუკვარი ოცნება. ახლა იქ ოკლმეურნე გლეხობის მუღმე სარგებლობაშია მილიონხაზეარზე მეტი ჰექტარი მიწა მიწის ეს უზარმაზარი

ფართობი მუშავდება მაღალი ტექნიკით — სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, ტრაქტორებით, სარწყავი არხებით, მინერალური და ორგანული სასუქებით. სოფლის მეურნეობა ახლა მეტანიზებულია. სარწყავი არხების ფართო ქსელმა ააყვავა მრავალი ათასი ჰექტარი მიწა.


განვითარდა ინდუსტრია. აშენდა და ნედლეულის ადგილობრივი რესურსების ბაზენზე ამუშავდა მძლავრი ფაბრიკა-ქარხნები. სომხეთს აქვს ძლიერი ენერგეტიკული მეურნეობა—50-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური. შარშან მათ შეემატა მძლავრი სევაშქესი.

სოფლების დიდი უმრავლობა ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. სოფლად დამკვიდრდა მოწინავე კულტურა-ჯერ კიდევ ოამდენ სომხეთს წერა-კითხვის მთლიანი მკოდნეობის რესპუბლიკა იყო. ახლა იქ ყველა სოფელს აქვს სკოლა. სამას ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს სკოლაში. სომხეთში ჩვიდმეტი უმადლესი სასწავლებელია, 29 თეატრი. სომხეთის მეცნიერებათა აკადემია ორმოცზე მეტ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ათასამდე მეცნიერ მუშაკს აერთიანებს, რომელთაგან ბევრმა თავისი გამოკვლევებითა და შრომებით სახელი მოიხვეჭა მიელს საბჭოთა კავშირში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სომეხმა ხალხმა უდიდესი წვლილი შეიტანა დიდ სამამულო ომში მტერზე ჩვენი გამარჯვების საქმეში. იგი მამაცურად შრომობდა ზურგში. სომეხი ხალხის მრავალ ათასობით შეილები გვირუგლად იბრძოდნენ ფრონტზე.

დღეს მშვიდობიანად შრომობს სომეხი ხალხი თავისი შემდგომი კეთილდღეობისათვის. იგი ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძენი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით მიდის წინ — კომუნისმო-საკენ.

მ. დეზჰარაძე



საქ. მედიცინის მუშაობა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის ახალდაბის ბანაკის მაკერტ.



პერბარითი.



ბელსკის მოყვარულთა ნამუშევრები

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში რომ შეხვალთ, თქვენს თვალებს მშვენიერი სანახაობა იმუშავებს. ბაღის სიღრმეში, ლამაზი ხეების ბოლოს, წყნარად ირხვევა ყვავილებისა და მწვანე ფოთლების გირლიანდებშემოვლებული გამკვირვალე ქსოვილი, რომელზედაც ოსტატურადაა გამოყვანილი: „დიდება დიდ სტალინს“. აქ, წითელი ალმებით საზეიმოდ მორთულ პავილიონში, მოწყობილია პიონერთა ბანაკების 1950 წლის ნამუშევართა პირველი გამოფენა.

შედისარტ გამოფენის დარბაზებში. რას არ ნახათ აქ, რა არ გაუკეთებიათ პატარებს თავიანთი მარჯვე ხელებით! აგერ, მძლავრ ავიომოდლებს მთელი კოლონა ჩამწკრივებული. რამდენი შრომა იყო საჭირო, სანამ მათ სასურველი ფორმა მიეცემოდათ მაგრამ ბევრი შრომის უმსდევად არ ჩაუვლია და აი, თვითმფრინავების მოდლები მზადაა. შეხედეთ, როგორ ლამაზად ირხვევინ პერში ისინი სახეპრობისა და სახეყვების მუშაობა პროფკავშირების კოჯრის პიონერთა ბანაკის ავიომოდლების ტემბა გააკეთეს.

თქვენს წინ წართლის ულამაზესი პეიზაჟია, მწვანეში ჩაფლული დგას ლამაზი ორსართულიანი სახლი. მალაღ ანაბე პატარა წითელი ალამი ფრიალებს. იქვეა სპორტული მოედანი. სახლს შორიახლო ჩხრიალით ჩამოდის ანკარა მდინარე. ეს ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ახალდაბის პიონერთა ბანაკის მოდელია, რომელიც ანაბე ბანაკის პიონერებმა გააკეთეს.

აგერ ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო კომიტეტის გაგრის პიონერთა ბანაკის ფოტომოყვარულთა მიერ იშვიათი გემოვნებით შედგენილი ფოტოალბომი, ულამაზესი პეიზაჟებით, ბანაკის ცხოვრების სხვადასხვა მომენტების ამსახველი სურათებით. იქვე ნორჩ ტექნიკოსთა მიერ გაკეთებული მცურავე გეგანის გემ „როსისა“ მაკერტი.

ძალიანად აკვარითში ფერადი თევზები ცურავენ. ყურადღებას იპყრობს პერბარითულები, კოლექციები. ეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების წაღვერის პიონერთა ბანაკის ნორჩ ნატურალისტთა კუთხეა.

ჩანს, სხვებს არც ხელსაქმის მოყვარულები ჩამორჩენიან. გამოფენის დარბაზებში ბლომადაა მათი ნამუშევრები. მცენარეთა ფოთლებისაგან შეკერილი საკარნავალო ტანსაცმელები, მოსწავლის პატარა ფორმა, ტილოზე

# ხ ე ლ ე ბ ი თ

ოსტატურად ნაქარგი პიონერული ყელსახვევი, პიონერული ნიშანი, ყვავილების ლამაზი თავივლი და სხვ.

დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლ. პ. ბერიას სახელობის ქვიშხეთის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკში ყოველთვის დიდი ინტერესით მომდინარეობდა გეოგრაფიის წრის შეყვანილობა. წითელყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭუნების დიდი ჯგუფი იყრიდა თავს სამშობლოს რუკასთან. თითოეულ მათგანს სურდა გაეგო, რაც შეიძლება მეტი, შეესწავლა მშობლიური მხარე, გასცნობოდა მის ბუნებრივ სამდიდრეებს. საინტერესოა მათ მიერ შედგენილი ტოპოგრაფიული რუკები, დიავგრამები, ფოტოგაზეტი „ნორჩი გეოგრაფი“, ლამპრობების დროს შეგროვილი მანერალების კოლექცია.

ზაფხულის პერიოდში პიონერთა ბანაკებში ჩატარებული სპორტული ღონისძიებების შესახებ მოგვითხრობენ ვაშოფენაზე წარმოდგენილი სპეციალური კედლის გაზეთები, ბიულეტენები, სიგელების ნიმუშები, რომლითაც ჯილდოვდებოდნენ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

კითხვობს პიონერული რაზმებისა და რაზმეულების დღიურებს, დღე დღის მისდევს, ყოველი ფურცელი იმის მჩვენებელია, თუ როგორ მჩქეფარედ, სიხარულით და შინაარსიანად გაუტარებიათ პატარებს საბანაკო დღეები. ათვალიერებთ კედლის გაზეთებს, ალბომებს, ლიტერატურულ აღმანახებს და რწმუნდებით, რომ ბავშვების მთელი გრძნობა და სიყვარული მიმართულია სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი.

\*\*\*

მოსწავლეები, რომლებიც ზაფხულის პერიოდში ლაღდ ისვენებდნენ ბანაკებსა და სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, მოგზაურობდნენ მშობლიურ მხარეში, აწყობდნენ საინტერესო ლამპრობებს, იმტიცებდნენ სკოლაში მიღებულ ცოდნას, — ამჟამად სასკოლო მერხებს უსხედან, ბეჯითად სწავლობენ. მათი აყადემიური წარმატების ფურცელს ყოველდღე ახალი ხუთები და თიხები ემატება. უყურებთ მათ და გჯერა, რომ ჩვენს სამშობლოში იზრდება ჯანსაღი, შრომის მოყვარე, მხიარული და თავის ძალაში მტკიცედ დარწმუნებული ახალი თაობა, კომუნისმის მომავალი მშენებელი თაობა.


ბ. სარიშლი



ხის დამუშავებელი მარშალის მუშაობა პროფკავშირის რუკ. კომიტეტის ახალდაბის პ. ბანაკის მაკეტრ.



პებარბიომი.



გემ „როსისს“ მაკეტრ.



535



ირაკლი აბაშიძე

• 3 0 0 0 •

ხატ. ნ. შარბაწელიძე



ბრწყინავს ახალი თბილისი,  
 ძველი ქალაქი ქართული,  
 სახლებს ეცვლიან სახლები,  
 სართულს ეცვლება სართული.  
 ქუჩა მიიწევს ქუჩისკენ  
 ქუჩაზე გადასლართული,  
 ქუჩისპირს მისდევს უადარი  
 ამაყად წელგამართული.  
 გამზირს მიჰყვება გამზირი  
 ფალავანივით განთქმული,  
 ბოლავენ ქარახის მიწები  
 მშვიდად შრომაში გართულნი.  
 გზისპირებს ბოძი მიჰყვება,  
 ბოძს ელექტრონის მავთული,  
 თბილისში ქალი ელვარებს  
 ზემოავკალას ჩართული.  
 ბრწყინავს ახალი თბილისი  
 ძველი ქალაქი ქართული.

2

დაბლა მოჩანს მთაწმინდიდან  
 სანახავი ათასგვარი:  
 ავჭლიდან ნავთილულისკენ  
 ქვის კედლებში მიქუხს მტკვარი.  
 ავჭლიდან ნავთილულამდე  
 გაუშლია თბილისს მხარი,  
 არც ის ძველი კედლები სჩანს,  
 არც ქალაქის ძველი კარი.  
 ზეივნებს და ბაღი-ბაღებს  
 ვარდ-ყვავილი ამკობს კრელი,

სასახლეთა ბროლის ფანჯარებს  
 მზის სხივი წვავს თვალმომჭრელი.  
 მტკვრის პირებზე გაშლილ უბნებს  
 ვერ გასწვდები ორთავ თვალთ,  
 გემოდო ჰკივის, დიდებუნი,  
 გაქაფული ორთქლმავალი.  
 დგას თბილისი, ეგებება  
 სტუმრებსა თუ მისიანებს;  
 რეკს ტრამვაი გაჭედილი,  
 ხიდზე ავტო მისრიალებს.  
 მტკვარზე ხიდი ჩელუსკინის  
 მოჩანს, როგორც დიდი ნავი,  
 ქალაქს თავზე დაჰგუბუნებს  
 გასარკველი თვითმფრინავი.

3

ჰყვავის, შრიალებს ახალი  
 ორთაქალა და ისანი,  
 მწვანით მოსილან თბილისის  
 ქედები სალი კლდისანი.  
 მწვანით მოსილა მთაწმინდა,  
 სადაც წევს ბევრი სულმწათი,  
 ძველ ნარიყალას კედლებზე  
 ბრწყინავს სტალინის სურათი.  
 მის შუქში განათებული  
 ქალაქი ოჭრის ფერია,  
 სცოცხლობდეს დიდი სტალინი  
 სცოცხლობდეს ჩვენი ბერია.

ბრწყინავს ახალი თბილისი  
 ძველი ქალაქი ქართული.

1. „ციხე მცხეთისა“

უძველესი მტკვრის ნაპირი



ლაბურ ტყით შრიალეზდა  
უძველესი მტკვრის ნაპირი,  
ყოფ ღამეში ღრიალებდა  
სამხრეთული ტყის ნადირი.  
ღრიალებდა ნადირივით  
აფოფრილი მტკვარის წყალიც,  
ფშანში თვლმდნენ ნაპირები  
დასერილი ირმის გვალით.  
უხვად ესხა ტოტებს ხილი,  
მიეცის ძეგლები ჩანდნენ ხეწენი  
და მუხაში შეტეხილი  
გარეული ღორის ეჭვი-  
გახფხული სცვლიდა ზმთარს,  
მაის ხვატი ივლისისა;  
აქე-იქით კენტილ სჩანდა  
გერ მოსახლე თბილისისა.

ძველი გულეზი



აგრამ მაშინ განა ყველგან  
ტყე იყო და ქალაქები?  
თვალს ჰხიბლავდნენ საქართველოს  
უძველესი ქალაქები:  
სამძვილდე და უფლისციხე,  
რუსთავი და ძველი მცხეთა,  
ურბნისი და საჩხერეთი,  
სიამაყე ძველთა დღეთა.  
ახლა მათგან რაღა დარჩა!  
გაპჩრნენ მათი ზღუდეები...  
საქართველოს არჩივების  
უძველესი ბუდეები.

• • •

მცხეთა იყო ქართლის გული  
გმირი, ბრძენი სასახლო,  
მცხეთა — ქართლის მატანიე,  
მცხეთა — ძველი საქართველო.  
მცხეთას იღვა მეფის ტახტი,  
მამულს მცხეთა განავებდა,  
ქედს მონურად არ იხრიდა  
ველურ მტრების ბანაკებთან.  
შიში ჰქონდათ მტრის ურღოვებს  
მისი მტკიცე გალავნისა,  
შორს ისმოდა ძლიერება  
კავკასიის ფალავნისა.

სპარსი — მტარი სამხრეთული



აგრამ თავს ვინ დააღწევდა  
შემოსეულ მტრებთან რაქებს...  
წინაპრები ამგურებდნენ  
მცხეთის ახლო მისადგომებს,

რომ მტრებისთვის გზა შეეკრათ,  
არ მოემეათ ურდო მტრული,  
ფრთოსას ისრის შეუხებლად  
მევენახათ ქართლის გული-  
მტრებში უფრო საშინაირი  
იყო მტერი სამხრეთული —  
სპარსი მულამ მოსისხარი  
გველი, კვეშ-კვეშ გამხედველი.  
საქართველოს მულამ მისგან  
არა ჰქონდა მოსვენება,  
გვედგა როგორც სამეცეთით,  
ვით სიკვდილის მოჩვენება.  
იყო მულამ შერკინება  
ამ ცეცხლსა და გლოვის ზართან,  
მტკვრის ნაპირებს მოჰყვებოდა,  
განდებოდა მცხეთის კართან, —  
და... ქართველმაც მცხეთისაკენ  
ეერავს სწრაფვა აღუკვეთა,  
მტკვრის ნაპირზე, იწროებში  
სპარსს გზა ციხით გაღუქტა.

განდა ციხე-თბილისი



ოგორც ზღვარი წამების,  
ომის, ჭაპანწყვეტისა,  
როგორც განდა ციხე-თბილისი,  
როგორც „ციხე მცხეთისა“.  
განდა ციხე-თბილისი,  
ღრუბლებამდე ავირდა,  
მტკვრის ნაპირად გაქვევდა,  
მცხეთის დასაცავდა.  
აღიბართა, გასრულდა,  
ქეის დაეკრა აფური...  
ქართლში მეფე-ხელმწიფედ  
იჯდა ვარაზ ბაკური.

მრავალ კერიით გაიბღდა  
მტკვრის უმდიდრესი ხეობა,  
ციხის გარშემო დასახლდა  
ახალი მოსახლეობა.



ძველი მცხეთა.

ჭოხეში ოდაც ქართული  
შეგაღვივებოდა,  
დაენთო ციხის გარშემო  
ქართველი კაცის კერია.  
სამი მხრით დგანან დარაჯად  
ქედები დახატულები,  
თაბორის მთიდან გამოჰქუქს  
თბილი წყლის ნაკადულები.  
ალბათ გაჰკვირდა ქართველი  
პირველ-მნახველი თბილი წყლის,  
ალბათ მან მისცა სახელი  
ამ არემარეს თბილისის.

### შემოიჭრა სპარსთა ჯარი

**მ** აგრამ ქართლის აყვავებას  
მტერი დიდნას მოითმენდა?!  
გულმოკლე ქართლის დედა  
კრემლს დიდბნით მოიწმენდა?!  
სამხრეთიდან სპარსთა ჯარი  
შემოიჭრა თავგასულად,  
ძირს დაეცა ძველი ქართლი,  
თუმც იბრძოდა ვეჯაკურად.  
ომშიც გაწყდა, შიმში კარიც  
გადერაზა მრავალ დილეგს,  
ქართლში დაჯდა „პიტიაში“ —  
სპარსთა მეფის მოადგილე.  
დაჯდა, მაგრამ — არა მცხეთას  
დადგა მტერმა ტახტი თვისი —  
ბანაკად და საბრძანებლად  
აირჩია მან თბილისი.  
მტერი გახდა მბრძანებელი,  
ვინაც ქართველს მარად სძულდა;  
ქართლს მეთოხე საუკუნე  
აქე შეად დაუსრულდა.

ციხე-თბილისს ვერ სთმობდა  
ქართლი დამონებული,  
იყო ბრძოლა სპარსელთან  
ცხარე, გამუდმებული.  
ორივე მხარე ფიცხოზდა,  
ვინ ვის სჩიხდა ვინ იცის,  
„შეიბნინან, იბრძვიან  
ფონსა ზედა თბილისის“.  
მცხეთა მაინც მცხეთობდა,  
რაგინდ მტერი მხეცობდა,  
ძილა მან არ უწყოდა,  
ქართველს მტერზე უძიოდა,  
დაწნით სჩიხდა უკუნეთს  
ნახევარ საუკუნეს.

### დაღვა შამი გორგასლისა

**მ** ერ მოსთხარა მტერმა ქართლი,  
მცხეთას ტახტი ვერ გასრისა,  
მზემ ბნელეთი გაარღვია,  
დაღვა შამი გორგასლისა.

შემოეწყო ვახტანგ მეფე,  
მტერი შეჰკრა, ამომშოლა,  
და თბილისის კალა-ციხე  
სპარსს წაართვა ქართლის შეიღმა.  
ვახტანგ მეფე მტერს დაეცა,  
მოსპო სადაც დაელანდა,  
მაგრამ ომში თვით თბილისი  
დაინგრა და გავერანდა  
ნანგრეების მტვერის დადგა,  
როგორც გოლვა იელისისა,  
ახლად იწყო ვახტანგ მეფემ  
აშენება თბილისისა.

ჩაღვა ციხის საფუძველი  
მრისხანის და ძალოვნისა,  
იწყო სწრაფად მშენებლობა  
თბილისს ორველვე გალაენისა.  
ბეერ შენობას აღადგენდა,  
ბევრს იწყებდა მეფე ახლად,  
რომ თბილისი გაეხადა  
საბატონოდ და მეფის სახლად.  
იყო ვახტანგ მშენებელიც,  
მტრის გმირულად აქუცქველი,  
მაგრამ ახალ თბილისისთვის  
ჩაღვა მხოლოდ საფუძველი.  
ხმლით იბრძოდა და თბილისსა  
შენებასაც აგრძელებდა,  
მაგრამ მეფე ხუთასორ წელს  
ომში მოჰყვდა სპარსელებთან.  
მოჰკლა ვახტანგ გორგასალი  
მტრის ისარმა გაბასრულმა.  
და... „ზოლდენი თბილისისა  
დაჩი მეფემ განასრულნა“.  
დაჩი დაღვა თბილისს ტახტი,  
როგორც სწაღდა მეფე ვახტანგს,



ბრძოლა თბილისისათვის. მოივრჩე მტრის ლაშქარი.

მან ახალი ქართლის გული  
შეაერთა მეფის ტახტთან.

## 2. ბიზანტია, ხაზარეთი

### თბილისის სპარსი არ მოეშვა

უხსოვარია თბილისის  
პირველ შენობის დამდგმელი,  
სად იდგა ქოხი პირველი,  
ვინ რა მოგვითხროს სათქმელი!  
თბილისის ძველი წარსული  
ვინ იცის მდიდის სანამდე!  
იგი ათასწლებს დაითილის  
თვით ვახტანგ გორგასალამდე.  
მაგრამ, რადგანაც ნანგრევზე  
იწყობ შენება სათულის,  
თბილისის შექმნას გორგასალს  
აწერს ლეგენდა ქართული.

### თბილისის ლეგენდა



მეფე ვახტანგ გორგასალი  
ქართლს გასულა სანადიროდ,  
ჩაუვლია ქორძემებრით  
მტკვრის მარჯვენა სანაპირო.  
მოუხიბლავს სურნელეებით  
მეფე ველებს თვალწარბაცებს;  
დაუხოცავთ ფრინველები  
მეფესა და მეფის კაცებს.  
გაღწლიათ მთების კალთა,  
ვარდ-ყვავილი დაჰფენიათ,  
თაბორის მთის მისაჯღღან  
კვლავ ხოხობი აჰფრენიათ.  
მეფეს ჭორი მიუშვია,  
ხოხობს სისხლი დასდენია...  
მთის ძირს წყალში მიუგნიათ —  
ფრინველთ ფრთენი დასცვენიათ.  
ჭორს ბუმბული დასცვენოდა  
უგზო-უკელოდ დაეარღულსა,  
ცხელი ნისლი დაჰფენოდა  
თაბორის მთის ნაკადულსა.  
არ ჰქონოდა დასასრული  
აღუღებულ ბორცვას წყლისას;  
აჲ შემდგარა დაქანცული  
მუხლი ვახტანგ გორგასლისა.  
მოუხიბლავს აჲ შშენებას  
ჯერ უხილავ ზმანებითა,  
აჲ ქალაქს გაშენება  
უთქვამს მეფურ ბრძანებითა.  
უთქვამს: — შემდეგ განერქულნათ  
მეშკვიდრეს და შეილიშვილსა...  
და ჩაუღდამს გორგასალად  
საძირკველი თბილისისა.



ართლი თბილისს აშენებდა,  
აწყობდა და აარსებდა,  
მტერი თბილისს აოხრებდა,  
ლუწდა ვინც ვის დაასწრებდა.  
გადიოდნენ ასე წლები  
გლოფისა და გმინვის ხმებში  
და თბილისი ტრიალებდა  
ხან ქართლს და ხან მტრის ხელში.  
თბილისს სპარსი არ მოეშვა,  
ვასტანჯავა და გაამაღლა,  
ეს ირანი ქართლს გვერდით  
ვინ ურჯულომ დაასახლა!  
ვინ ჩაუგდო წინაპარი  
შაჰის მხვილს პირგაბასრულს!  
რად დიდოთ ეს სასჯელი  
საქართველოს შწარე წარსულს!  
ახლაც გუნახონ ჩვენთა მტერთა,  
ვისიც ხანძრის გვედგა ბოლი;  
დღესაც ნახონ საქართველო,  
თუ ყოფილან მისი ტოლი.

### ხაკანი და კიხიანი



ართლში სპარსეთის ხარბობას  
არც სიგრიძე ჰქონდა, არც განი,  
ხან „პოტიანში“ ამეფა,  
ხან თბილისს დასა „მარზანი“.  
ქართლს დარი შინაც დაუღდა,  
თესლი ესაღვივდა ხნულებში,  
სპარსეთის საქმეც მოსწირდა  
მეშვიდე საუკუნეში.  
ქამი იმარჯევს ქართველთა,  
შეხსენს თბილისის კარები,  
თბილისში დასხდნენ სპარსებთან  
ქართველი „ერისმთავრებიც“.

დამარცხა სპარსთა ხოსრო  
ბიზანტიის კეისარმა,  
ირანს სღია თბილისამდე  
რომაელმა მოსარმა.  
ვინ დარღობდა, თავში ეცხობ  
ერთ-ერთისთვის ათასჯირაც,  
მაგრამ თბილისს შემოეწყობ  
კეისარი დასასჯელად-  
შემოეწყობ. დარაჯები  
მიუყენა ქალაქს ცხრაჯან,  
დანპარებად მოუწოდა  
ხაზარეთის ჯიბლუ ხაკანს.  
აღყის შიგნით ერთად ბრძოდნენ  
ქართველნი და სპარსელები,  
ვით თბილისის პატრონები,  
ვით თბილისის დამცველები.



იყო ომი სისხლისმღვრელი,  
ზუზუნებდა ტყე ისრისა,  
ცეცხლი იყო შროსხანება  
ხაჯანის და კეისრისა.  
აბრაზებდნენ მტერს ქართველნი:  
მოეწონთ ჩვენი ცის ფერიო?  
„თქვენს კეისარს თხის წვერი აქვს,  
მას აქვს ვაცის კისერიო.  
რომელი ტყის მხეცები ხართ,  
გაჭერეს თქვენი აკვანიო“...  
კლდეზე გოგრა გადმოჰკიდდეს:  
„აი თქვენი ხაჯანიო“.  
ორ წელიწადს სასტიკ მტერთან  
იყო ბრძოლა ცხარზე ცხარი,  
მაგრამ ექვსასოცდაშვიდ წელს  
მინც გატყდა ციხის კარი.  
შეესია მტერი თბილისს,  
დამცველების მოსრინა ჯარი,  
გადასწვა და ააოხრა  
დააყენა სისხლის ღვარი.  
ხელთ ჩაიგდო. ერთხანს შედგა

ქართლის გული, ქართლის მადეა;  
ეს თბილისი ასე მკაცრად  
სპარსეთისთვის დასაფაა.

• • •

მაგრამ მალე ბიზანტიონს  
მოედრებულა თვითონ ზეცა,  
თავის საზღვრებს მიაშურა,  
ორბის ფრთები შეიკეცა.  
მიაშურა თავის საზღვრებს,  
მიიზურა დარბაზები...  
სამხრეთიდან ლანქრებივით  
შამოვიდნენ არაბები.  
ქართლისა და თბილისისთვის  
ბიზანტიას საიდ ეცალა,  
იწყებოდა არაბობა,  
თვით უფრობოდა ასეთ ძალას.  
გაეცალნენ ხაზარებიც  
ქართლის მხეს და ქართლის მთვარეს  
და თბილისს სამეფოლოდ  
დარჩათ ქართლის „ერისმთავრებს“.

(გაგრძელება იქნება)



ძველი თბილისის ხედი.

## რამდენი წლისაა კაცობრიობა?

ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდა და დღე-საღ აინტერესებს მეცნიერებს. ზოგი მათგანი ზაღდადის მიდამოებში ჩატარებული გათხრების დროს მიღებული მონაცემების საფუძველზე ამტკიცებს, რომ ადამიანი შესაბამისაში გაჩნდა, დაახლოებით, ერთი მილიონი წლის წინათ.

პირველი ადამიანი ცხოვრობდა რბილი კლიმატის პირობებში და მალე კულტურის საძაოლ მაღალ დონეს მიაღწია. ახე გადიოდა ხალკუნეები, სანამ უინწულის დიდი მოძრაობის ხანა დადებოდა. უინწულს ოთხ უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად შემცირდა

დედამიწის მოსახლეობა, ადამიანი გამოქვაბულში შევიდა და მოშობარე გახდა.

ცნობილი გეოლოგის ანტუვის აზრით, კაცობრიობა ამჟამად იწყობება უინწულის მეოთხე პერიოდის დასასრულში, რომელმაც მიაღწია მაქსიმუმს 15 ათასი წლის წინათ. 12 ათასი წლის წინათ უინწულმა ცენტრალური ევროპიდან იწყო ჩრდილოეთისკენ წაწევა. კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისად, როგორც ანტუვის ფიქრობს, სწორედ ეს მომენტი უნდა ჩათვალოს.

# „მუდამ წინ!“



რუსმა საბავშვო მწერალმა ო. ბედარევა, რომელიც შედიოდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში, იწაბულა რუმინეთი.

საბჭოთა სტუმრებმა, ყველგან, სადაც კი იყვნენ — ნახეს ალარმინების ვსაზე დამფარო, ახალი რუმინეთის საქმიანი და ხალისიანი ცხოვრება. სტუმრები ეწვანენ რუმინელ პიონერებსაც, ნახეს, თუ როგორი ხალისიანი ხდება რუმინელი მოზარდების ბავშვობა.

ო. ბედარევა დაწერა წიგნი რუმინელი პიონერების ცხოვრებაზე. კვირით ვებედავთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.

## პირველი რესპუბლიკური შეკრება

იმ დღეს ბუქარესტში არანეველებრივი მოძრაობა იყო. ქალაქის ყოველი მხრიდან ბუნებათა თეატრისაყენ მიეშურებოდნენ პიონერები. წითელი დროშებით, დოლის ცეშით, მზიარულების გამომწვევი პიონერული სამღერებით მიდიოდნენ რუმინეთის პიონერული რაზმების წარმომადგენლები თავიანთ პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ბავშვებმა მოიტანეს უაზრავი ყვავილები, და გაშლილი, ნათელი დარბაზი გადაიტყა უზარმაზარ ყვავილნარად. ცოცხალი, დედუნა, მზისაგან დამწვარი ბრინჯაოს სახეები, თეთრი ხალათები, წითელი ყელსაბეჭები, გოგონების ნაწინავეებზე დამაგრებული ბანტები — ყველაფერი ეს მრავალფეროვანობადა, როგორც ნამდვილი ყვავილობა.

პატარა ნიშნებზე, რომლებსაც რუმინელი პიონერები მკერდით ატარებდნენ, წარწერილია: „ტოტ ინაინტე“. ეს ნიშნავს: „მუდამ წინ!“ მუდამ წინ ლენინსტალინის დიადი საქმისათვის.

ეს წიხისლის მისწრაფება ჩანდა ბავშვების ენერგიულ გამოხედვაში, აღბეჭდილი იყო მათ მზიარულ სახეებზე. შესამინევი იყო იშითაც, თუ როგორ ორგანიზებულ შეიკრიბდნენ პიონერები დარბაზში მუშა-ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტე-

ტის მდივნის მოხსენების მოსასმენად თემაზე: „პიონერებისა და მოსწავლეების ამოცანები ახალ სასწავლო წელს“.

ამ ბავშვებს სურთ ისწავლონ კარგად, სურთ ბევრი იცოდნენ, რათა იყვნენ ღირსნი თავიანთი უფროსებისა: მამებისა და ძმების, დედებისა და დების; იყვნენ იმათი ღირსნი, ეინც ამჟამად დაზგასთან და მადარაოვში, თაბარაკებსა და ნავთის საწვწაოებში ვადა-ქარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, აშენებს ახალი რუმინეთის ბედნიერ ცხოვრებას.

შეკრების შემდეგ გაიბართა კონცერტი ბავშვთა მხატვრული თეითომქმედი წყრების მონაწილეობით. გოგონებისა და ბიჭების გუნდმა შესარულა „დიმოკრატული ახალგაზრდობის ჰიმნი“. შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები. რუმინული სკოლების მოსწავლეებმა შესარულეს უნგრული ცეკვები, ხოლო უნგრული სკოლების ბავშვებმა იკვიკვს რუმინული ცეკვა სირბუ. ამით ბავშვებმა გამოხატეს ახალი რუმინეთის ხალხთა მეგობრობა.

სკენაზე გამოვიდა პატარა ჰიმნისტი — საბავშვო სახლში აღზრდილი, რვა წლის ნიკუელიცა მოულესკუ. მან კარგად, სუფთად და გემოანებით შესარულა რამდენიმე პიესა. დასასრულ დაოჭრა საკლუთარი კომპოზიცია ზღაპარ „წითელქუდას“ თემაზე.

ის ახალი, რაც დიმოკრატული წყობილებასთან ერთად წარმოიშვა რუმინეთში, ძნელია უკეთესად გამოხატულიყო, როგორც გამოიხატა ბავშვთა ამ თეითომქმედ კონცერტში. ხალხი ვახლა თავისი ქვეყნის ბატონი და აშენებს ახალ ცხოვრებას ადამიანთა ბედნიერებისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის.

სცენის სიღრმეში აღმართულ, ყვავილებით შემკულ დიდ სურათიდან დარბაზში იხედვოდნა ადამიანი, რომლის სახელი მთელ მსოფლიოში სიმბოლოა ყველაზე საუკეთესო, ყველაზე უმაღლესის და უმშვენიერესისა, — ამხანაგი სტალინი.

## სამკითხველო დარბაზში

ბუქარესტის ერთ-ერთ სამკითხველოში, რომელიც ხალხისათვის არის გახსნალო, საბჭოთა სტუმრები შევხვდით პიონერ ზინა

კონსტანტინესკუს. ის იჯდა მაგიდასთან წიგნზე დახრილი ისე, რომ მისი სახე არ ჩანდა მხოლოდ თავს ზემოთ აშვერილი იყო გოგონას შავ ნაწნავეებში ჩაწნული ორი წითელი ბანტი.

ზინა დიდხანს ლელავდა, წითლდებოდა და ვერ ახერხებდა პასუხს ჩვენს შეკითხვებზე. მაგრამ, შემდეგ აღაპარაკა. გოგონას ცოტა ესმის რუსული. ის რუსულ ენას სკოლაში სწავლობს. ზინამ გვიამბო სკოლაზე, თავის პიონერულ რაზმზე, თავის მშობლებზე და პატარა ძმაზე, მეგობრებსა და წიგნებზე, რომელთა კითხვა მას ძალიან უყვარს.

იმ დღეს ბიბლიოთეკაში ზინამ აიღო შინ წასაკითხად რუმინულ ენაზე თარგმნილი რუსი მწერალი ქალის ლ. კორონკოვას წიგნი „სოფელი გოროდიშიში“. გოგონა წუთით დაჯდა, სურათებს დახედა, წაიკითხა წიგნის პირველი სტრიქონები — და უკვე არ შეეძლო კითხვა მიეტოვებინა. ზინას წიგნი თითქმის სულ ჩაეკითხა, როდესაც ჩვენ მივედით მასთან.

— გრუნია\* მე ძლიერ მომწონს. ის ნამდვილი პიონერი გოგონაა! მტკიცე, დაჯერებული, — გვითხრა ზინამ. — მან თვითონ დასძლია ყოველგვარი ხელშეშლული სიძინე-ლე და, ამის შედეგად, ყველფერს მიაღწია, რაც კი გოგოქრა.


ისეთი მსურველ მეკითხველი, როგორიც ზინა არის, ჩვენ ბევრი შეგვხვდა რუმინეთში. წიგნზე მოთხოვნილება იზრდება, ამის გამო სახელმწიფო დიდი რაოდენობით ცემს წიგნებს ბავშვებისათვის.

### პიონერთა სახახლე

ჩვენ შორიდან დავინახეთ ყოფილი სამეფო პარკის მდიდრულად მდგარი ხეები. სახლის გარშემო შემოვლებული მაღალი დიდი მჭერმტყველურად ლაპარაკებს იმაზე, რომ წინათ უპრობო აღმართის აქ მოხვედრა შეუძლებელი იყო. ჰიმყართან იდგა მეფის დარაჯი, და ჰიმყარის ახლი გავლა კი არ შეიძლებოდა, რათა არ შეიძლეულიყო მეფის „განსაკუთრებული სიწმიდე“.

პარკის ესაზღვრება რკინიგზის სადგური, მაგრამ წინათ ჩვეულებრივი მატარებელი აქ არ ჩერდებოდა. ამ სადგურის დაქანთან მხოლოდ საციცალური მატარებელი ჩამოდგებოდა, ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც „მისი მეფური უდიდებულესობა“ ინებებდა საინტერესო წასვლას. მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად.

\* გრუნია — ლ. კორონკოვას ნაწარმოების გმირი გოგონა.



ბუქარესტის პიონერთა სახახლის ეზოში შესახველი

ათად. ხალხი ლაპარაკობს, რომ რუმინეთის უქანასკნელი მეფე მიხია უმოთავრესად სასახლის პარკში ნადირობდა ყვაებზე.

და, აი, დადგა დღე, როდესაც ხალხმა გაავლო უქანასკნელი მეფე. ახალგაზრდა სახალხო რესპუბლიკამ ეს უზარმაზარი სასახლე დიდი ჩრდილოვანი პარკით, ორანჟერეებით, შადრევნებითა და ქანდაკებებით, აჩუქა თავის მამებებს.

— აქ, — ავცხსნა მთავარმა ინჟინერმა, — აიგება ახალი შენობები: საბავშვო თეატრი და სასპორტო დარბაზი.

პარკში სასპორტო დარბაზის ახლო შვად ჩანს გათხრილი მიწა დიდი აუზისათვის. მას გასაღრმავებლად მუშაობენ ძლიერი ექსკავატორები.

ჩვენ მივდიოდით პარკის პატარა გზით.

— აქ, — გვითხრა ჩვენმა გამყოლმა, — გავყავს საბავშვო რკინიგზა, რომელიც ელექტროლიცითრებული იქნება. აიგება რამდენიმე სადგური. ავერ სადგური „მინუტინსკაია“. აქედან იწყება ნორჩ ნატურალისტთა სამფლობელო. აქ ორანჟერეებსა და პლანტაციებში წარმოებული იქნება პიონერობტანიკოსთა, მომავალი აგრონომებისა და მეცნიერების ცდები.

სასახლე ღვას გორაკზე. მისკენ მიდის ტურისტებიანი გრძელი ქვის ძეგლი კიბე. სასახლის ექსპსიი ოთახი იწყობა ბავშვებისათვის. მშენებელი მუშები, მებათქამეიბი და დორგლები ცოტა ძალ-ღონეს როდი ხარჯავენ, რათა მოწყენილი სამეფო კაბინეტები, საძინებელი ოთახები გაარდაიქმნას რუმინეთის თავისთათაი ბავშვების სამეკადინო, დასასვენებელ, ხალისიან და ნათელ ოთახებად.

# რკინა-ბეტონი



ქურნალ „პიონერის“ წინა ნომერში თქვენ გაეცანით ბეტონს. ახლა თქვენ იცით, რომ ბეტონისაგან შეიძლება აშენდეს სხვადასხვა სახის შენობები: სახლები, ხიდები, საანაბროს კედლები და სხვა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ შენობათა ყოველი ნაწილის აგება მხოლოდ ბეტონისაგან შეიძლება. ბეტონი ხელოვნურად დამზადებული ქვაა და ამიტომ იგი დაახლოებით ბუნებრივი ქვების თვისებების მქონეა; მისი გამოყენებაც შენობათა ისეთი ნაწილებისათვისაა შესაძლებელი, სადაც ბუნებრივი ქვების გამოყენება იქნებოდა დასაშვები. აქ საჭიროა ცალკე ხნით შევანეროთ თქვენს ყურადღებასაშენი ქვების, ბეტონის და ზოგიერთი სხვა სამშენებლო მასალების თვისებებზე და მათს გამოყენებაზე. ამ საკითხის გასარკვევად მუშაობათ ცდას: საცდელად ავიღოთ ქვის ან ბეტონის ორი ერთნაირი პატარა პრიზმი; ერთი მათგანი გრძივად შევდგათ ისეთ წნეხში, რომელიც მას შეეშუშავს, ხოლო მეორე მოკაჭვიოთ ისეთ წნეხში, რომელიც მას გასქინძავს გრძივად. თუ წნეხს დაეუკავშირებთ სპეციალურ ხელსაწყოებს, რომლის საშუალებითაც შეგვეძლება აღწერსოთ წნეხში წარმოშობილი იმ ძალების სიდიდე, რომლითაც საცდელ პრიზმებზე ვიპოქმედებთ, მაშინ ჩვენ ვაჩვენებთ, თუ რა ძალს აიტანს საცდელი პრიზმი მათ სრულ გამჟღავნებამდე ან გაწყვეტამდე. ასეთი ცდის ჩატარების შედეგად ჩვენ დავინახავთ, რომ ის პრიზმი, რომელსაც ვერშეძელით, აიტანს ბევრჯერ უფრო დიდ ძალას. ვიდრე ის, რომელსაც ვკნიშავდით. აქედან მშენებლები აცილებენ ასეთ დასკვნას: ქვა (ბეტონი) ისეთი საშენი მასალაა, რომელიც ძალიან კარგად უძლებს დიდ მკუმშვ ძალებს, მაგრამ ცუდად იტანს გამჭიმვ ძალებს. ამიტომ ქვა შენობის ისეთი ნაწილების ასაგებად უნდა გამოვიყენოთ, სადაც მხოლოდ მკუმშვია ძალები წარმოშეებიან, ასეთებია, მაგალითად, საცხოვრე-

ბელი სახლის საძირკვლები და კედლები. ამიტომაც კედლებსა და საძირკვლებს ბეტონისა, აგურისა ან ბუნებრივი ქვებისაგან აშენებენ.

ახლა, თუ ავიღებთ ლითონის ორ ისეთსავე პრიზმს და ვაჭიმოვრებთ იმავე ცდებს, როგორც ქვის პრიზმებზე ჩავატარეთ, დაჯიწყუნდებით, რომ ლითონის ორივე პრიზმი კუმშვის და გაჭიმვის დროს ერთნაირი სიდიდის ძალებს გაუძლებენ; ამასთანავე დავინახავთ, რომ ლითონი ქვაზე ვაცილებით უფრო დიდ ძალებს აიტანს. აქედან მშენებლები აცილებენ ასეთ დასკვნას: ლითონი ისეთი საშენი მასალაა, რომელიც ერთნაირად კარგად იტანს როგორც ვაჭიმვას, ისე კუმშვას; ამასთან ლითონი ვაცილებით უფრო მაგარია, ვიდრე ქვა. ამიტომ შენობის იმ ნაწილებს გასაკეთებლად, სადაც დიდი გამჭიმვია ძალების წარმოშობაა მოსალოდნელი, ლითონი იხმარება.

თუ თქვენ გიმგზავრიათ თბილისის ფუნქციონარის რომოდებით, უსათუოდ შეინახავდით, რომ ორივე რომონდა გამოშუღია წვრილი და მოქსელი ლითონის ბაგირის ბოლოებში. როდესაც ერთი რომონდა ზეით ადის, მეორე ქვეით ეშვება. ცხადია, ორივე რომონდა ჩამოყიდებულია ამ ბაგირზე და ამიტომ ბაგირი ვაჭიმულ მდგომარეობაში იძყოება. ანა წარმოიდგინეთ, თუ რა მძიმე იქნება ხალხით დატვირთული რომონდა? მაგრამ ბაგირი არ წყდება და იგი ეწევა რომოდებს ხან ზევით, ხან ქვევით. აი ეს ბაგირი ლითონისაგანაა ვაკეთებული სწორედ იმიტომ, რომ ლითონი მეტად დიდ გამჭიმვ ძალებს იტანს. შეიძლება თუ შეგეცვალა ლითონის ეს ბაგირი ქვით, აგურით ან ჩვეულებრივი კანათის თოკით? რა თქმა უნდა არა.

მაგრამ შენობებს ისეთი ნაწილებიც აქვს, რომელნიც ერთდროულად განიცდიან როგორც მკუმშვას, ისე ვაჭიმვასაც. ანა ჩვეუ-

ფაქტრდეთ ცოტა ხნით, თუ საღ შეიძლება  
გემორდეს ასეთი შემთხვევა?

ძვიმართთ ისევ ცდას:  
ცდისათვის შეიძლება აიღოთ თუნდაც სა-  
ძეოში თიხა, ისეთი, როგორც თქვენ სკო-  
ლებში გავეთ ხოლო საფარჯიმოდ. დააზნა-  
დეთ ამ თიხისაგან ძოგრო პრიზში. როდ-  
ესაც თქვენ მიერ დამზადებული პრიზში გა-  
რება, დასდეთ ეს თარაზულად ორ საყრდენ-  
ზე ისე, რომ საყრდენები მოექცეს პრიზის  
ბოლოებში; ამის შემდეგ თანდათანობით და-  
ტვირთეთ პრიზში ზემოდან რაიმე ტვირთით;  
როდესაც პრიზში საკმარისად გაიფუნება,  
მის ქვედა სიბრტყეზე ბზარები წარმოიშვე-  
ბა. ეს ბზარები თანდათან გახვითარდება ქვე-  
ვიდან ზევით და ბოლოს გათიშვებს საც-  
დელი პრიზის დასგრევას (ნატუნვას), დააზ-  
ლოებით მისი სიგარის შუა ნაწილში.

რატომ მოხდა ასე? თურმე ასეთ პრიზებ-  
ში (მშენებლები შეხობის ამ ფოიზის ნაწი-  
ლებს კოქებს უწოდებენ), როცა ისინი დატ-  
ვირთვის გაზო იღუნებოან, ორი სახის ძა-  
ლები წარმოიშვებიან: მის ქვედაპირზე მოქ-  
მედებენ გამჭიმავი, ხოლო ზედაპირზე მკუ-  
შმავი ძალები. ძალების განაწილების ასეთი  
სურათი გვექნება ყოველგვარი მასალისაგან  
დამზადებულ კოქებში, თუ ისინი ღუნვას  
განიცილან. სწორედ ამიტომ, თუ ღუნვანზე  
მომუშავე კოქები ისეთი მასალისაგანაა გა-  
კეთებული, რომელიც კარგად იტანს მკუშმავ  
ძალას, მაგრამ სუსტად ეწინააღმდეგება გა-  
ჭიმვას, კოქის დასგრევა დაიწყება მისი სუ-  
ბტი მხარიდან, ე. ი. გამჭიმული ზონიდან.

ეხლა მოვიგონოთ, შენობის რომელი  
ნაწილები კეთდება კოქებისაგან? თუ შენ-  
ბებს გულდასმით დაათვალიერებთ, განსა-  
კუთრებით მისი მშენებლობის დროს, შენიშ-  
ნათ, რომ ჩვენი საცდელი პრიზის მსგავსი  
ფორმის მქონე კონსტრუქციები იქ მრავ-  
ლად მოიპოვება; ასეთებია შენობებში —  
სართულშია გადართულების კოქები, რომლე-  
ბზედაც იატაკებია დავებული, ხიდეებში—  
ბურჯებს შორის გავებული კოქები, რომ-  
ლებსაც ხილის სავალი ნაწილი ეყრდნობო-  
და სხვა.


აი ასეთ შემთხვევებში მშენებლების წინა-  
შე წამოიჭრება საკითხი, თუ რა მასალიდან  
უხდა გაკეთდეს ნაგებობის ისეთი ნაწილები,  
რომელიც ღუნვას განიცდიან, ე. ი. რომ-  
ლებშიაც ერთდროულად წარმოიშვებიან,  
როგორც მკუშმავი, ისე გამჭიმავი ძალები.

ამ შეიძლება თქვენ გვიანსუხით, რომ კო-  
ქები, რომლებიც ღუნვას განიცდიან, ლითონისაგან იქნეს გაკეთებული, რადგან, რო-  
გორც ზემოდ გამოვარკვიეთ, სწორედ ლი-  
თონია ისეთი მასალა, რომელიც ერთნაირად  
კარგად უძლებს გამჭიმავ და მკუშმავ ძა-  
ლებს. თქვენ მართალი ხართ. მშენებლები,  
როცა ეს აუცილებელია, მართლაც რომ ასე  
იქცევიან, მაგრამ არა ყოველთვის.

ლითონი ძვირფასი მასალაა, მას დიდი გა-  
მოყენება აქვს არა მარტო მშენებლობაში,  
არამედ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა  
დარგებშიაც. თქვენ კარგად იცით, რომ ლი-  
თონისაგან მზადდება რკინიგზის რანები,  
ორთქლავლები, ონოდები, სასოფლო-სა-  
მეურნეო იარაღები, ფაბრიკა-  
ქარხნების მოწყობილობანი, ია-  
რალები, წყალსადენის მილები

და ვინ მოსთვის კიდევ რამდენი  
რამ. აბა წარმოიდგინეთ, თუ  
რამდენი ლითონია საქირო ჩვენი  
დიდი სამშობლოსათვის ყოველი-  
ვე იმის ვასაკეთებლად, რაც მხო-  
ლოდ ლითონისაგან შეიძლება  
დამზადდეს, მაშინ ცხადი გახდებ-  
ბა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ,  
მშენებლობაში ლითონი, რაც შე-  
იძლება მომჭირნეობით ვხარჯოთ  
და მოვიხმაროთ მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, როცა ეს აუცილ-  
ბელია. აი ამიტომ, მშენებლებმა  
დიდი ხნის წინანდ მოისაზრეს  
შემდეგი რამ:

ხის ყალიბებში, სანამ იქ ახალ  
ბეტონს ჩაასხამდნენ, ჩააწყეს



გამოცდა ღუნვანზე წინის საშუალებით.



აქ ნაჩვენებია ხის ყალიბებში ჩაწყობილი ლითონის ღეროები კონსტრუქციის დამატონებამდე

ლითონის წვრილი ღეროები, უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც ლუნვის შედეგად მოსალოდნელი იყო გამჭიმავი ძალების წარმოშობა. შემდეგ ყალიბები ამოავსეს ბეტონით. გამოვიდა რკინით შეიარაღებული ბეტონის კონსტრუქცია. აი ასეთ კონსტრუქციას სახელად უწოდეს რკინა-ბეტონი.

რკინა-ბეტონის კოჭი ღუნვაზე რომ გამოსცადეს, დარწმუნდნენ, რომ იგი მშვენივრად იტანს, როგორც გამჭიმავ, ისე მკუმწავ ძალებს, რადგან გაჭიმვას გწინააღმდეგება ლითონის ღეროები, ხოლო კუმწევას ხომ ბეტონიც კარგად უძლებს.

რკინა-ბეტონის ერთობლივ მუშაობას ხელს უწყობს ისიც, რომ, როგორც ცლებით დადასტურდა, ბეტონი რკინას ძალიან მჭიდროდ ეცვრება გარშემო; ბეტონში იგი არასდროს არ იცანება, ბირიქით კიდევაც იწმინდება თანვისაგან.

რა უპირატესობა აქვს რკინა-ბეტონს სხვა საშენ მასალასთან შედარებით?

რკინა-ბეტონი იაფი საშენი მასალაა, რადგან აქ ცოტა ლითონი და ბევრი ბეტონი იხარჯება, ბეტონის მომზადება კი, როგორც იცით, ადვილია და იგი თითქმის ყველგან ხელმისაწვდომი ქვიშისა, ხრეშისა და ცოტა მჭიდრასაგან კეთდება; ქვიშა და ხრეში კი უხვად მოიპოვება ჩვენს მდინარეებში. რკინა-ბეტონს ცეცხლი არ ეცილება, ამიტომ აქ ხანძარი მოსალოდნელი არ არის; იგი არ იცანება და არ ლბება (როგორც ეს ცალკე ლითონს და ხეს მოსდის ხოლმე); რკინა-ბეტონისაგან გაკეთებული ნაგებობა ძალიან მაგარია და იგი საუკუნეების მანძილზე უვნებლად ინახება. აი ყველა ამ კარგი თვისებების გამო რკინა-ბეტონს დიდი გამოყენება აქვს ჩვენს მშენებლობაში. თქვენ ყოველ ნაბიჯზე შეგიძლიათ დარწმუნდეთ ამასში, —თქვენს ირგვლივ ხომ იმდენი რამ შენდება!


მთელს დედამიწის ზურგზე, არც ერთ ქვეყანაში არ სწარმოებს ისეთი დიდი მშენებლობა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში. ამიტომ ჩვენში ყველაზე უფრო კარგად არის შესწავლილი და განვითარებული რკინა-ბეტონით მშენებლობის საკითხებიც. რკინა-ბეტონის საკითხებზე ბევრი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი მუშაობს. ჯერ კიდევ ბევრი ახალი რამ არის შესასწავლი.

ბევრი თქვენგანი მომავალში უფოლდ მშენებელი ინჟინერი გახდება. შეისწავლეთ, აქედანვე გაეცანით სამშენებლო საქმეს.

**დ. ლომაძე**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საემის ინსტიტუტის სწავლულ მდიანი.

ღუნვაზე მომწვევ რკინა-ბეტონის კოჭის სქემა



1. ქველა ზონაში ჩაღვებულ გემპაზე მომწვევ ლითონის ღეროები. 2,3. ლითონის დამხმარე ღეროები.



# მე ვინახე თქვენს ქვეყანას

ნორის პარიზელი, ცამეტი წლის ფილიპ ბერო ეხმარება უფროსებს მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. იგი პარიზის ქუჩებში ავროეზება ხელმოწერას მშვიდობის მომხრეთა სტოკჰოლმის მოწოდებაზე.

ფილიპ ბერო, საფრანგეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის დელეგაციისთან ერთად, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ინახულა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, ინახულა ხალხთა სავაჭრო ბელადის სტალინის სამშობლო—გორი. იყო მეტრომშენის პიონერთა ბანაკ-შიც.

აი, რას ვეინახობს ფილიპ ბერო თავისი მგზავრობის შთაბეჭდილებებიდან საბჭოთა კავშირის შესახებ:

მე დიდი სურვილი მქონდა მენახა თქვენი ქვეყანა და, აი, ჩემი სურვილი ახლა, ჩვენი თვითმფრინავი დაემეზა მოსკოვის ახლო მდებარე ერთ-ერთ აეროდრომზე. აქ ჩვენ ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ.

აეროდრომიდან პირდაპირ თქვენს დედაქალაქ მოსკოვისაკენ გავემართეთ. მოსკოვის ლამაზ ქუჩებსა და მიდამოებს მშვენიერი, დიდი, ლამაზი სახლები ამშვენებს. მე გაცივებული დავარჩი, როცა გავიგე, რომ ამ სახლებში ძუძები ცხოვრობენ. მომავლანა ჩემი ქვეყანა და ჩემდაუნებურად შევადარე თქვენს ქვეყანას. საფრანგეთში მუშებს ასეთი სახლები არა აქვთ. მუშების უმრავლესობა ცხოვრობს ქოხებში. ჩვენი მთავრობა არ ზრუნავს იმისათვის, რომ იმის დროს დაზიანებული საცხოვრებელი სახლები შეაკეთოს ან ახალი ააშენოს. ჩვენი მთავრობას ბევრი ფული ეხარჯება ვიეტნამთან ომში.

ენახე მოსკოვის მეტრო—მისი კედლები მარბროლითი და ჩუქურთმებით არის მოჩოთული. მე მისი სადგურები ნამდვილ სასახლეებად მომიჩვენა— მოსკოვის მეტროს პარიზის მეტროს ვერ შეედრება, ჩვენი მეტრო ჭეჭყიან, თვემინებებულ გვირაბს

გვავს. კედლებზე უმწოდ არის გაკეთებული რეკლამები— აფიშები, იატაკი საესეა ნავებით.

თქვენ, საბჭოთა ბავშვებს გაქვთ ყოველივე იმისათვის, რომ მიიღოთ კარგი განათლება. თქვენ ერთი წუთითაც არ გაუწუხებთ ფიქრს ხელისდედ დღეზე. თქვენ გაქვთ საბავშვო რკინიგზები, პიონერთა სასახლეები, საზაფხულო ბანაკები.

ფრანგ ბავშვებს ასეთი არაფერი გააჩნიათ, ბევრი მათგანი სკოლაშიაც არ დადის. ისეთ კარგ სკოლაზე, როგორც თქვენ გაქვთ, ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვიძლია. ჩვენში სკოლას შენობები დაძველებულია. სენცეტენში სკოლა დაინგრა და მის ნანგრევებში დაიღუპა რამდენიმე მოსწავლე.

ფრანგი პიონერები შეყრებებს ატარებენ ძველ კარვებში, ნახევრად დაზარებულ შენობებში. მთავრობას სურს, რომ ესეც წაართვას მათ. ფრანგ პიონერებს უკარბალავენ გამართონ შეყრებები.

მაგრამ არსებობს მეორე საფრანგეთი, საფრანგეთი პატრონისა მშრომელებისა. მილიონობით ფრანგ ადამიანს სურს, რომ საფრანგეთი იგოს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. მილიონებს სურთ, რომ ბავშვებს შეუქმნან ისეთი ბედნიერი ცხოვრება, როგორცა გაქვთ თქვენ, საბჭოთა ბავშვებს.

თელი გულით მიყვარს ჩემი ქვეყანა, რადგან მან მომცა სიცოცხლე, მასწავლა შრომა და თავისუფლებისათვის ბრძოლა.

მე მსურს, ფამისტების მიერ მოყვლილი მამაჩემის დაწყებული საქმე გაავრცელო, ვიბრძოლო იმისათვის, რომ საფრანგეთიც გახდეს ისეთი მშვენიერი, როგორც არის საბჭოთა კავშირი.

ფილიპ ბერო



# საქართველოს ჩაი

საქართველო მთელ სამშობლო კავშირშია ცნობილი მეთრფასი კულტურებით: ჩაით, ციტრუსებით, ტუნგოთი, ევკალიპტით, ხენილით, ვანით.

ჩაი საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი კულტურაა, ჩვენი აყვავებული სამშობლოს სიმდიდრე და სიამაყეა. ჩაი კოლმეურნეობათა შეძლებულობის მძლავრი წყაროა.

ჩაის ბუჩქი მარადმწვანე, უხვად შეფუთული მრავალწლიანი სუბტროპიკული (ზოგან კი ტროპიკული) მცენარეა.

საიდან შემოიტანეს ეს მცენარე ჩვენში? ჩაის სამშობლო ინდოჩინეთია. აქედან ის პირველად ჩინეთში გადმოიტანეს, სადაც ახლა დიდ ფართობებზე ჩაის უძველესი პლანტაციებია. ჩინეთიდან ჩაი იაპონიაში გადაიტანათ, შემდეგში კი სხვა ქვეყნებში. მათ შორის შეფის რუსეთშიც. კერძოდ საქართველოში ჩაი 1846 წელს შემოიტანეს.

ამჟამად ჩვენში ათეული ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციაა. ჩაის კულტურამ საქართველოში თავისი განვითარებისათვის ნამდვილი მთორე სამშობლო ჰპოვა. არსად, არც ერთ ქვეყანაში ჩაისათვის ისეთი ხელსაყრელი პირობები არაქვს შექმნილი, როგორც ჩვენში. ამიტომ არის, რომ საქართველოში თითოეულ ჰექტარზე 10-12 ათასი ცენტოგრამი ხარისხიანი ჩაის ფითლის მიღება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ზოგადი დიდობა მქაჩივმ, სოციალისტური შრომის გმირმა ქსენია სარსანიამ კი ერთი ჰექტარი ჩაის მოსავლიანობა 25 ათას ცენტოგრამამდე აიყვანა.

მსოფლიოში გავრცელებული ჩაის რამდენიმე სახეობიდან უმთავრესად ცნობილია ჩინური და ინდური აჯგულები.

ჩინური ჩაი ჩვეულებრივად ორ მეტრამდე სიმაღლის დატოტვილი ბუჩქითა, ზოგჯერ იგი ხელაკ იზრდება. ბუჩქის დატოტვა მიწის ზედაპირიდან იწყება. ასე, რომ მთავარი

რი ღერო ანუ ტანი მას არა აქვს. ჩინური ჩაი სიცივის უფრო ამტანია. ზრდა-განვითარებას თითქმის ზამთარშივე იწყებს. ყვავილობის შემოდგომაზე და სიცივეების დაწყებამდე აგრძელებს. ზოგი დაჯივანებული ყვავილი განახლებულზე გამოდის. ყვავილი მსხვილია, თეთრი ფერისა. ზოგჯერ 2-3 ყვავილი ერთად არის შეკრებილი. ჩაის თესლი მტკი მიხაკისფერია.

ინდური ჩაის მცენარე, ჩინურ ჩაისთან შედარებით, უფრო მაღალი იზრდება, ზოგჯერ მისი სიმაღლე 15 მეტრამდე აღწევს. პლანტაციებზე გაშენებულის სიმალე, ცხაღია, ბევრად უფრო ნაკლებია. ინდური ჩაის მცენარეს აქვს შტამბი და დატოტვა. მისი ფოთლოლი ჩინურისაზე უფრო თხელი და ღილია. იზრდება თითქმის მთელი წლის განმავლობაში, განუწყვეტილად, ყვავილობს უმთავრესად განახლებულზე. ცნობილია ამ ჯიშის რამდენიმე სახეობა, მაგრამ ყველა ისინი ნაზია, ტროპიკულია, ამიტომ მათი პრაქტიკული მნიშვნელობა მეტად დაბალია.

ჩვეულებრივად ჩაი, თუ ნაზი ჯიში არ არის, უძლებს 14 გრადუსამდე და ზოგჯერ მეტ ყინვას.

საქართველოში ყველაზე უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა ჩინურ ანუ სუბტროპიკულ ჯიშებს აქვთ. ეს ჯიშები, როგორც ვთქვით, უფრო მეტ ყინვას იტანენ, ამიტომ არის, რომ ფართოდ გრცელდება ჩვენში.

საქართველოში პირველად შემოიტანეს ჩაის ბუჩქი ჩინური იყო. შემდეგ კი ჩაი შემოიტანეს იქნა იაპონიიდან, ინდოეთიდან, კუნძულ ცეილონიდან... მაგრამ ინდური ანუ სამხრეთის ჯიშები, რომლებსაც მეორე საპურნეო მნიშვნელობა, მეტი სიმაზე და ნაკლები ყინვაგამძლეობა ახასიათებდათ, გარდა ცალკეული მცენარეებისა, მალე დაიღუპნენ, დანარჩენები კი გამარჯვებულ იქნა.



იმის გამო, რომ ჩვენში წლების მანძილზე ერთმანეთთან ახლოს აზრდებოდნენ ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ჩაის ბუჩქები, ბევრი ჯიში შეიცვალა და გადასხვაფერდა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, სტალინური პრემიის ლაურეატის ქსენია ბახტაძის აზრით საქართველოში ამჟამად არის ინდური, ინდურ-ჩინური, მსხვილფოთლო-ჩინური, საშუალოფოთლო-ჩინური და წვრილფოთლო-ჩინური ჩაი. აქედან ჩვენში ყველაზე მეტი მნიშვნელობისაა ჩაის მსხვილფოთლო-ჩინური ჯიში „იან-ლოუ-დუნი“, აგრეთვე ინდურ-ჩინური — „კანგრა“.

იან-ლოუ-დუნს, ჩინურ სხვა ჯიშებთან შედარებით, უფრო მოზრდილი და მომრგვალებული ფოთოლი აქვს. კანგრას წაგრძელებული, ოვალური.

ჩვენში შემოტანილი იაპონური ჩაი იგივე ჩინური წვრილფოთლოა ჩაია. რომელსაც ნაყლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.


ინდური ნაზი ჯიშები ჩვენში მცირე რაოდენობით არის ნატანების, სალიბაურის, ჩაქვისა და გონიოს საბუთთა მეურნეობებში. მათ უმთავრესად ცდებისათვის იყენებენ.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ქართველმა მეცნიერმა ქსენია ბახტაძემ გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები: „ქართული № 1“ და „ქართული № 2“. ამ ჯიშების მოსავლიანობა 35-50 პროცენტით მეტია ჩვეულებრივ ჩაის ჯიშებზე და ხასიათდება მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით. მათი დუყები უფრო მსხვილი და მძიმეა. რაც ზრდის მკრეფაეთა შრომის ნაყოფიერებას. გარდა ამისა, ჩაის ახალი ჯიშები კრეფის პერიოდში უფრო თანაბარ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ძველი ჯიშები. რომლებიც ჩვეულებრივად კრეფის დაწყების პერიოდში უფრო მოსავლიანობით.

ჩაის ახალ ჯიშთა შორის გამსხვავება ის არის, რომ № 1 უკეთესი ხარისხის ჩაის იძლევა, № 2 კი გამოირჩევა ყინვის ამტანობით და მოსავლიანობით.

მოწინავე ქართველმა მეცნიერმა ქსენია ბახტაძემ მიწურინ-ლისენკის მეთოდის გამოყენებით თავისი ჩაის ახალი ჯიშების გამოსაყვანად სადავდ აიღო ჩინური და ინდური შერჩეული ჯიშები. მიღებულ ახალ ჯიშებს ქ. ბახტაძემ შესძინა შობ-

ლების საუკეთესო თვისებები: ინდური ბუჩქებიდან — მაღალი მოსავლიანობა, ჩინური ბუჩქებიდან კი — ყინვის ამტანობა. ამასთან ჩაის ახალი ჯიშების ბუჩქები შე-




ჩაის ფოთოლი: 1. იაპონური, 2. ჩინური, 3. ქართული ანუ ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი, მიზნობრივი (სელექციური).



დარებით მაღალი იზრდება, რაც აადვილებს კრეფას.

ქსენია ბახტაძე ახალი სელექციური პლანტაციების გასაშენებლად თავისი გამოყვანილი ჯიშების ბუჩქებზე ყოველწლიურად 200-300 კილოგრამ თესვას აგროვებს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით უახლოეს წლებში ახალი ჯიშების ჩაი ჩვენში სულ მეტი და მეტი რაოდენობით გაშენდება.

აგრონომი გრიგონ თოდრაძე



# ნორჩი მეფეცკრო

სწავლა რომ დაიწყო, ბონდო პიონერულ ორგანიზაციაში მიიღეს. პიონერხელმძღვანელი დიდად კმაყოფილი დარჩა, როცა შეიტყო, რომ ბონდოს არადადეგების დროს სოფელში მეფუტყრეობა შეესწავლა. სკოლაში ბევრ ბავშვს აინტერესებდა მეფუტყრეობა. ბონდო დაჰპირდა ამხანაგებს, რომ მათ შეასწავლიდა ამ საინტერესო საქმეს. საამისოდ თვითონ შეიძინა ფუტყრის 2 ოჯახი. ხშირად შეკრებდა ამხანაგებს და თავის ეზოში მიჰყავდა სამეცადინოდ, ვატყებთ ესაუბრებოდა მათ ფუტყრის ცხოვრების შესახებ.

ბავთა წლები. ბონდო მშვილდაძე ლინურთი კომპაგნიის რიგებში მიიღეს. მან კიდევ უფრო მეტი მონღომებით მოჰყიდა ხელი მეფუტყრეობას. გასულ წელს ბ. მშვილდაძემ ნორჩი მეფეცკრო ბარაკო რის-პუბლიკურ შეკრებებში მიიღო მონაწილეობა. მის მიერ წარმოთავსებულ მსალებში ასახული იყო ფუტყრის ოჯახის მთელი ცხოვრება. საბარათელოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა ბონდო მშვილდაძე საბარათო სივრლით, ფოტოაპარატით და ლიტერატურით დააჯილდოვა.

ატაკეცული დაბრუნდა ბონდო თბილისიდან ქუთაისში. მეორე დღესვე საძალაპო პიონერთა სახლის დირექტორთან მივიდა და განუცხადა:

— ენაიდან ქუთაისის სკოლებში მრავალ მოსწავლეს აინტერესებს მეფუტყრეობა. ჩემი წინადადება პიონერთა სახლთან შეიქმნას მეფუტყრეობის შემსწავლელი წრე-ბაჭყალი შეისწავლიან ფუტყრის ცხოვრებას, შემდეგ თავიანთ სკოლებში უჩუღმძოვანიღებენ მეფუტყრეობის შემსწავლელ წრეებს.

ბონდოს წინადადება ყველას მოეწონა. პიონერთა სახლთან ჩამოყალიბდა მეფუტყრეობის შემსწავლელი წრე. მართლაც მრავალი მსურველი აღმოჩნდა. ხელმძღვანელობა ბონდოს მიანდევს.

ნორჩი მეფუტყრეებისათვის პიონერთა სახლის დირექტორმა ფუტყრის ოჯახები შეიძინა.

— კარგ დროს მოხვედით. ეს-ეს არის მეფუტყრეობის შემსწავლელმა წრემ მეცადინეობა დაიწყო. უმჯობესია თვითონ დავესწროთ მეცადინეობას. ენახათ როგორ ბონდომეობს იჩენენ ამ საქმისადმი ჩვენი ქალაქის პიონერები. — გვითხრა პიონერთა სახლის დირექტორმა მთა ბაკურაძემ და ბუნებისმეტყველების ოთხისიკენ გავსწვიეთ. ბავშვები ზრდილობიანად მოგვესალმენ. წრის ხელმძღვანელმა საუბარი განაგრძო:

— ფუტყრის ერთ ოჯახში დაახლოებით 60-80 ათასი მუშა ფუტყარი ცხოვრობს. მთელი ოჯახი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა დედაფუტყარს. მას სანიმუშოდ ჰყვებიან, ტანს უზენენ, ავარჯიშებენ... ჯანსაღ დედაფუტყარს დღეღამეში შეუძლია 1500-2000 კვერცხი დალოს...

სიყვარულით ესაუბრებოდა ბონდო მშვილდაძე პიონერებს და თანაც უჩვენებდა მის მიერ დამზადებულ ფუტყრის ცხოვრების ამსახველ კოლექციებს.

ბავშვები განაბული უსმენდნენ წრის ხელმძღვანელს.

ეს მეცადინეობა გამონაჯლისი როდი იყო. ბონდო მშვილდაძე საქმიანად, მიმზიდველად და საინტერესოდ ატარებს წრის მეცადინეობას. მას კარგ დახმარებას უწევს პიონერთა სახლის მოურთიანელობა წრის ხელმძღვანელი ორდენოსანი პედაგოგი ქეთევან ბალანჩივაძე. წრის წევრებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ფუტყრის მოვლა-პატრონობა. მათ გამოთქვის სურვილი თავიანთ სკოლებში შეიქმნან მეფუტყრეობის შემსწავლელი წრეები. სკოლის ხელმძღვანელობამ კომპიუტერული და პიონერულმა ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ ამ კარგ საქმეს.

უბრალო ყუთებში მოთავსებული ფუტკრები დაავადდნენ. ბონდომ იხსნა ფუტკრის ოჯახები დაღუპვისაგან. ზამთარში თბილ ბინაში გადაიყვანა და ხელოვნური საყვები მიაწოდა. გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში გადაიყვანეს და სპეციალურ ყუთებში ჩაასახლეს. ეს რთული და მეტად საინტერესო სამუშაო თვით წრის წევრებმა ჩაატარეს. ოჯახების გამლიერების მიზნით ამ ზაფხულში პიონერებმა ფუტკარი საირემეო გადაიყვანეს.

ბონდო მშვილდაძეს მარტო მეფუტკრეობა როდი იტაცებს. თავის ეზოში დარგო მრავალი მცენარე, მათ შორის ვაზი, ციტრუსები, დაეუფლა აგრეთვე მცენარის დაცვამბას. განსაკუთრებული დიდი მზარუნელობით უვლის ერთ ძირ ვაზს. გასულ წელს ამ ვაზმა 85 კილოგრამი ყურძენი მოიხსნა. წელს—ასამდე კილოგრამი.

ბონდოს ხელმძღვანელობით ქუთაისის პიონერთა სახლის ეზოში ნორჩმა მეზღვრებმა წელს დეკორაციული ბალი გაამწენეს. რამაც კიდევ უფრო დაამშვენა პიონერთა კულტურული დასვენებისა და აღზრდის კერა.



ლაპით ქათამაკი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია (წერილი)	1
ვ. გორგანელი — საოქტომბრო (ლექსი)	2
ა. ონელი — მშვილობას ეციკეთ! (ლექსი)	3
ბ. ლორია — იმ ხეყს იქით (მოთხრობა, დასაწყისი)	4
მ. კახიძე — ჯგუფი ჩიტები (ლექსი)	12
ა. მუსხაგვი — ოცნება (ნაწყვეტი მოთხრობა „სტოკოლიდან“ თარგმანა შ. გვინჩიძემ)	13
ბ. დემეტრაძე — მოძვე სომხეთის რესპუბლიკა (წერილი)	15
ბ. საჩინელი — მარჯვე ხელუბით (ნარკვევი)	16
ი. აბაშიძე — რას ვადღერბა თბილისი (პოემა)	18

ო. ბეღარევი — რკინა-ბეტონი (წერილი)	23
დ. ლომაძე — რკინა-ბეტონი (წერილი)	25
ფ. პერო — მე ვნახე თქვენი ქვეყანა (წერილი)	28
ტ. თოდრაძე — საქართველოს ჩიი (წერილი)	29
დ. ქათამაძე — ნორჩი მეფუტკრე (ნარკვევი)	31
გ. კახიძე — ოქტომბერი (ლექსი) გარკვეანის მე-2	
კალაიკის ყუთზე	მე-3
გარკვეანის პირველი გვერდის მხატვრობა — „ნორჩი მოქანდაკე“ შერჩეულბულია ახალდაზრდა მხატვრების	
ა. ბანდლაძისა და კ. შახარაძის მიერ.	
გარკვეანის მეოთხე გვერდზე ფოტო რ. აყოფოვისა — „ნახიზიველუბი ოქტომბრის ზეიმზე თბილისში“.	

რედაქტორი ბ. ძაბაძე ი.ძ. საზრდაცელი კოლოგია: ე. აბლაძე, დ. ბგრიტიშვილი, მ. მარ- დიაშვილი, ბ. თაზირიშვილი, მარინაპანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შინგალია. მასუხისმგებელი დიჯანი მ. თორაშაძე. საზსაზრბა რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

ფა 17075 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შვეე. № 117 სტამბის შვეე. № 1420  
 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14  
 თბილისის გარკვეანი დაბეჭდილია „ზარია ვისტოკას“ ოესტ-მანქანაზე.



# ჭადრაკის კუთხე

ქვემოთ მოყვანილი მოკლე პარტიები გათამაშებულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნოქადრაკეთა მიერ და მოაზრდებიან შამათით.

## პარტია № 1

1. ე2-ე4? ე7-ე6
2. ფ2-ფ4?? ლდ8-34X

## პარტია № 2

1. ე2-ე4 ე7-ე5
2. ლლ1-35 მგ8-ე7?? \*
3. ლ35 : ე5X.

## პარტია № 3

1. ე2-ე4 ე7-ე5
2. კფ1-ე4 კფ8-ე5
3. ლლ1-35 რფ8-ფ6?
4. ლ35 : ფ7X

## პარტია № 4

1. ე2-ე4 ე7-ე5
2. კფ1-ე4 დ7-დ6
3. რფ1-ფ3 კც8-ე4
4. რ31-ე3 ა7-ა6
5. რფ3 : ე5 კე4 : დ1??
6. კე4 : ფ7+მგ8-ე7
7. რც3-დ5X

## პარტია № 5

1. ე2-ე4 ე7-ე5
2. რფ1-ფ3 რბ8-ე6
3. დ2-დ4 ე5 : დ4
4. რფ3 : დ4 ე7-ე5
5. რდ4-ფ5 რფ8-ე7??
6. რფ5-დ6X

## პარტია № 6

1. ე2-ე4 ე7-ე6
2. დ2-დ4 დ7-დ5
3. რ31-ე3 ლფ4
4. რც3 : ე4 რფ8-ფ6
5. ლლ1-დ3 ე7-ე5
6. დ4 : ე5 ლდ8-ა5 +
7. კც1-დ2 ლა5 : ე5
8. მ-0-0 რფ6 : ე4?
9. ლლ1-დ8 + მგ8 : დ8
10. კდ2-ე5 + + მდ8-ე7
11. კე5-დ8X

## პარტია № 7

1. ე2-ე4 ე7-ე5
2. კფ1-ე4 ლდ8-ე5:
3. ლლ1-ფ3? რბ8-ე6??
4. ლფ3 : ფ7+მგ8-დ8??
5. ლფ7 : ფ8X

## პარტია № 8


1. ე2-ე4 ე7-ე5
2. რფ1-ე7? კფ8-ე5
3. ფ2-ფ4 ლდ8-ფ6
4. ე2-ე3 რბ8-ე6
5. ე2-ე3 რფ8-36
6. კფ1-ე2 რ36-ე4
7. ტ31-ფ1? რე4 : 32
8. ფ4 : ე5?? ლფ6 : ფ1+
9. კე2 : ფ1 რ32-ფ3X

\* კითხვითი ნიშანი სუსტი სელის აღმნიშვნელია, ორი კითხვითი ნიშანი კი - უხეში შეცდომისა.

\*\* + ნიშნავს ქიშ, ++ - კი ორნავს ქიშ.

## გასწორება

ჩვენი ჟურნალის მეტრე ნომერში ჰადრაკის განყოფილებაში № 3 დიაგრამაზე თეთრი მეფე უნდა იყოს დ2 უჯრედზე.



ამ დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციაში შავებას სვლის რიგია, მათ ადვილად მოიყვან. როგორ მოიყვან შავებამ?

პრ. მხარაღრიშვილი,

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

ფასი 5 შაბ.

12/4.

ДИОН  
ГОСБУВАЧ.В.КА  
: 12

საქართველოს  
საბავშვო  
სამედიცინო  
სამსახური

